# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 5 მაისი, 2012 წელი.

№84 (6961)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## უსიმღერო აფხაზეთი

3



## საქართველო ჩრდილოეთ კავკასიას მიხედავს

8

თბილისი რუსეთის რესპუბლიკების მოსახლეობაზე შეფობას კისრულობს



## რით და როგორ დაემსგავსა სააკაშვილი ვარლამ არავიძეს!

5

## ნანა გულუა: „დღევანდელი პოლიტიკური ნება არ ასახავს ქართველი და აფხაზი ხალხების ნებას“

4

## რუსეთი ამერიკას და ევროპას „უპირატესი დარტყმის უფლებით“ დაემუქრა

2

## როდემდე უნდა ისარგებლო ჩვენი მოთმინებით, კატილინა?!

11

## მოგონებათა ფრაგმენტები

6



ინფორმაცია

## ჟურნალისტებმა პროფესიულ საქმიანობაში ხელისშეშლის ფაქტზე სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს

„ლაივპრესის“ და „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტებმა პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტზე სახალხო დამცველის აპარატის ზუგდიდის ოფისს მიმართეს.

როგორც ჟურნალისტები აცხადებენ, როდესაც გაიგეს, რომ ზუგდიდის პროკურატურასთან ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, სხვა კოლეგებთან ერთად, ინციდენტის გასაშუქებლად მივიდნენ.

„ლაივპრესის“ წარმომადგენლის განცხადებით, როდესაც მან ვითარების ციფრული კამერით გადაღება დაიწყო, მასთან მივიდა ძალოვანი უწყების წარმომადგენელი რუსლან შამახია და უთხრა, რომ არ შეიძლებოდა გადაღება. ჟურნალისტი ამბობს, რომ მას წაართვეს კამერა, ამოიღეს მეხსიერების ბარათი და წაიღეს.

„ნეტგაზეთის“ ჟურნალისტს კი ვიდეოკადრები წაუშალეს და მიზეზად უთხრეს, რომ მან ისეთი კადრები გადაიღო, რაც ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება. სამართალდამცავებმა ჟურნალისტს განუმარტეს, რომ მას ჰქონდა გადაღებული ძალოვანი უწყების პირები, რომლებიც არიან სამოქალაქო ფორმაში და მათი გადაღება არის აკრძალული.

ამ ფაქტის შემდეგ, ჟურნალისტები მივიდნენ სახალხო დამცველის აპარატის ზუგდიდის ოფისში და მომხდარის შესახებ ახსნა-განმარტება მისცეს.

## შსს-ს ცნობით, აფხაზეთიდან ზუგდიდში ასაფეთქებელი ნივთიერების გადატანაში ბრალდებული დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა დააკავა პირი, რომელმაც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ზუგდიდში ასაფეთქებელი ნივთიერება გადმოიტანა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ასაფეთქებელი ნივთიერება ამოღებული და გაუვნებელყოფილია შსს-ს სპეციალური ოპერაციების ცენტრის განაღმვის სამმართველოს მიერ..

ასაფეთქებელი მოწყობილობა გუშინ ზუგდიდის საოლქო პროკურატურასთან აღმოაჩინეს.

თვითმხილველები ამბობენ, რომ უცნობმა მამაკაცმა პროკურატურის შენობის წინ გაიარა და შავი პოლიეთილენის პარკი დატოვა. ამან პროკურატურის დაცვა დააეჭვა და მცირე შეხლა-შემოხლის შემდეგ, ეს პირი დააკავეს. თვითმხილველების ცნობით, სამართალდამცველებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა სპეციალური მოწყობილობით გააუვნებელყვეს.

ზუგდიდში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გუშინ განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტრომაც გაავრცელა. შსს-ს ცნობით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა დააკავა პირი, რომელმაც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ზუგდიდში ასაფეთქებელი ნივთიერება გადმოიტანა.

## ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო უწყების განცხადებით, ერგნეთის ბაზრობის ბედი საქართველოს გადასაწყვეტია

ერგნეთის ბაზრობის ბედი საქართველოს შიდა საქმეა და მათი გადასაწყვეტია. ამის შესახებ ნათქვამია ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მათივე განმარტებით, ოსურ მხარეს ერგნეთის ბაზრობის არც დაკეტვასთან და არც შესაძლო ხელახლა გახსნასთან კავშირი არ აქვს.

ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ ერგნეთის ბაზრობის გახსნის ინიციატივა ქართულმა მედიამ რატომღაც ოსურ მხარეს, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ახლადდანიშნულ გენერალურ პროკურორს მერაბ ჩიგოევს მიაწერა, რომელიც მანამდე პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი იყო.



„სინამდვილეში მერაბ ჩიგოევმა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში 30 აპრილს გამართული შეხვედრის შემდეგ ქართველი ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორ უყურებს ოსური მხარე ერგნეთის ბაზრობის გახსნის შესაძლებლობას, უპასუხა, რომ ამ ბაზრობის დახურვა „დიდი სისულელე იყო“, — ნათქვამია ოსური მხარის განცხადებაში და აქვე აღნიშნულია, რომ ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი გამოდიან ერგნეთის ბაზრობის გახსნის ინიციატივით.

ინტერპრესნიუსი

ერიჰა!

# სპეციალური სიებით არჩეული პრეზიდენტის სპეციალური სიებით შერჩეული მასპინძლები

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს რუსთავს პრეზიდენტი სტუმრობდა. მან რუსთავის ტყე-პარკის რეკონსტრუქციის გეგმა წარმოადგინა, რომელიც პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება. სააკაშვილის „ღირსეულად“ დასახვედრად ქვემო ქართლის ხელისუფლებამ საკმაოდ მოინდომა. „ამ სიაში 3 000 კაცია. თქვენ ადვილი გგონიათ ამდენი ხალხის შემოწმება და შეხვედრაზე შეშვება?!“ — უხსნიდა სამთავრობო დაცვა, სპეციალურ სიებში ვერმოხვედრილ, განაწყენებულ პედაგოგებს.

„აბა, შემოვიდნენ მეხანძრეები“, „რუსთავის კორპუსის ხალხია, შემოუშვი,“ „ესენი საკრებულოს თანამშრომლები ყოფილან, არაა პრობლემა, მოდით“ — მიმართავდნენ სიებით ხელში მდგარი სახელმწიფო დაცვის თანამშრომლები ერთმანეთს.

ამჯერად, რუსთავში პრეზიდენტის სტუმრობისას, სპეციალური სიებით მოქალაქეების შეშვებაზე სრულად პასუხისმგებელი სამთავრობო დაცვა გახლდათ.

„ჩვენს გარდა აქ ადგილობრივი პოლიცია და რუსთავთან ახლოს მყოფი რაიონების პოლიციელები არიან. აბა, ამხელა პარკის გაკონტროლებას ჩვენ რას ვეყოფოდით“, — გვიყვებოდნენ დილის 12 საათიდან სააკაშვილის მომლოდინე სამართალდამცავები.

„მე არც ერთ სიაში არ ვარ. გავიგე, სააკაშვილი მოდისო და მოვედი. ჩვენს კორპუსს პრობლემები აქვს და მინდა პრეზიდენტს ხმა მივაწვდინო“, — შეწუხებული იყო რუსთავის მკვიდრი თამარ ჭელიძე.

ჭელიძემ და სხვა, სპეციალურ სიებში ვერმოხვედრილმა მოქალაქეებმა იმ დღეს პრეზიდენტს ხმა ვერ მიაწვდინეს. მათ ნაცვლად შეხვედრაზე, ჯგუფ-ჯგუფად, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებიდან მობილიზებული მოქალაქეები შედიოდნენ.

სხვადასხვა რეგიონებში მოქმედი, დამოუკიდებელი მედიასაშუალებები აქტიურად აშუქებენ პრეზიდენტის ვიზიტებს. მათი მასალებით იკვეთება საერთო ტენდენცია, რომლის თანხმადაც, უკვე, დიდი ხანია რეგიონებში მსგავს საჯარო შეხვედრაზე სპეციალური სიები წყვეტს ვინ უმასპინძლოს პრეზიდენტს.

„როცა ვიცი, რომ ხალხი დილის 8 საათზე იღვიძებს ჩემს სანახავად, ეს დიდი სტიმულია ჩემთვის და ჩემი მთავრობის წევრებისთვის, რომ ღამეც არ დავიძინოთ და 24 საათი ვიმუშაოთ“, — ასეთ განცხადებას აკეთებდა გურჯაანში ჩასული პრეზიდენტი.

თუმცა ის, რომ საქმე სააკაშვილის სიყვარულით გულანთებულ რიგით მოქალაქეებთან არ გვქონდა, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გვაუწყა.

„სინამდვილეში, პრეზიდენტს გურჯაანში მუნიციპალიტეტის 20-მდე სოფლიდან ჩამოყვანილი მასწავლებლები, საბავშვო ბაღების აღმზრდელები, ქალაქის სკოლების მოსწავლეები, ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები დაახვედრეს.

მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის გამო ქალაქის ოთხივე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ჩაიშალა. საჯარო სკოლების მოსწავლეებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, რომ სკოლის დირექტორებმა ბოლო გაკვეთილები მოხსნეს და მასწავლებლებთან ერთად, ბავშვებიც პრეზიდენტის დასახვედრად გაგზავნეს“, — ვკითხულობთ კახეთის საინფორმაციო ცენტრის 24 აპრილს გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

რუსთავში პრეზიდენტის სტუმრობას სასწავლო პროცესის ჩაშლა არ მოჰყოლია, თუმცა ქალაქის საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესს ხელი სამთავრობო გუნდის სხვა სახეებმა შეუშალეს. რუსთავის თეატრთან პირველი საათიდან პედაგოგები შეიკრიბნენ. თეატრის კართან კვლავ, სპეციალური სიები გამოჩნდა. სიებში მყოფ პედაგოგებს თეატრის დარბაზში განათლების სამინისტროს წარმომადგენლის გარდა, ვანო მერაბიშვილი, ირაკლი ნადარეიშვილი და გიგი წერეთელი შეხვდნენ.

მანონ ბოკუჩავა

კრემლი კვლავ მუშტებზე იყურება

# რუსეთი ამერიკას და ევროპას „უპირატესი დარტყმის უფლებით“ დაემუქრა

მიზეზი ისევ ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემებია, რომლებსაც აშშ ევროპაში განათავსებს. მოსკოვში, ამ საკითხთან დაკავშირებით, საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელზეც რუსეთის გენშტაბმა ღიად განაცხადა, რომ იტოვებს უპირატესი დარტყმის უფლებას, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლის.

როგორც გენშტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა აღნიშნა, რუსეთმა, შესაძლოა, მიიღოს გადაწყვეტილება ევროპული ანტისარაკეტო სისტემების ობიექტებზე უპირატესი დარტყმის შესახებ. მისი თქმით, „რუსეთის სამხრეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ახალი შეტევითი სისტემების განთავსება, მათ შორის კალინინგრადში „ისკანდერებისა“, ევროპული ანტისარაკეტო თავდაცვის ინფრასტრუქტურის განადგურების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია“.

რუსეთი პირველი დარტყმის უფლებას „ვითარების გართულების პერიოდში“ გამოიყენებს. თუმცა მაკაროვს არ დაუკონკრეტებია რას გულისხმობენ „ვითარების გართულებაში“.

ამ საუბრების ფონზე, მოსკოვში მიმდინარე კონფერენციაზე, რუსეთი საკუთარი სამხედრო მანქანის სისუსტეების აფიშირებას ახდენს. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა ბევრი იწუწუნა იმაზე, რომ 2020 წლისთვის ამერიკა-ევროპაში ისეთ ანტისარაკეტო საშუალებებს განათავსებს, რომ მისი ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემები მარტივად შეძლებენ რუსეთის კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების განადგურებას.



კონფერენციაზე, ამის საილუსტრაციოდ, დიდ ეკრანზე აჩვენებენ, როგორ „ჩავარდება“ რუსეთის ბირთვული შეტევა აშშ-ზე. თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული კომპიუტერული ვერსია იმის პრეზენტაციაა, თუ როგორ ჩამოყრიან ნატოს გამანადგურებლები მათ ბალისტიკურ რაკეტებს, რომლებიც ლოს-ანჟელესამდე და ნიუ-იორკამდეც კი ვერ მიაღწევენ.

კონფერენციაში ამერიკელი სამხედროებიც მონაწილეობენ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოდელირებული ომის ვერსია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მცდარ მონაცემებზე დაყრდნობით აქვს შექმნილი. ამერიკელი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ აშშ არ აპირებს, როგორც ეს რუსულ პრეზენტაციაში იყო ნაჩვენები, გამანადგურებლები ბალტიის ზღვის რაიონში განათავსოს და ურჩევენ რუს კოლეგებს, უფრო კარგი წარმოადგენა ჰქონდეთ საკუთარ რაკეტებზე.

ამასთან, რუსული მედიის ცნობით, ნატოს შტაბბინის მაღალჩინოსანმა წყარომ უკვე განაცხადა, რომ მოსკოვში მიმდინარე კონფერენცია არანაირად არ მოახდენს გავლენას ჩიკაგოში ანტისარაკეტო სისტემების პირველი ფაზის გაშვებაზე.

რუსი ექსპერტები ახლა იმაზე ფიქრობენ, კიდევ რით შეაშინონ ამერიკა. გენერალი ლეონიდ ივაშოვი ამბობს, რომ „ამერიკელები სულით კოვბოები არიან და არასოდეს დაუთმობენ სუსტს. მათ შესანიშნავად იციან ჩვენი შეიარაღების სისტემები და ჩვენს ბირთვულ-სარაკეტო ძალებს ონლაინ სისტემაში ადევნებენ თვალს“. ამიტომ ის ფიქრობს, რომ რუსეთის სისუსტეებზე აქცენტირება და თავის შეცოდება მხოლოდ გააძლიერებს საზოგადოებრივ აზრს იმაზე, რომ რუსეთს მართლაც სუსტი შეიარაღებული ძალები ჰყავს.

კონფერენციის ამერიკელ მონაწილეებს მუქარა წერილობით შეუთვალა დიმიტრი მედვედევმაც. მის მისალმებში, რომელიც პატრუშევმა წაიკითხა, ნათქვამია, რომ „ანტისარაკეტო თავდაცვის საკითხები პირდაპირ ეხება სტრატეგიული სტაბილურობის საფუძვლებს და მცდარი გადაწყვეტილებების ფასი, შესაძლოა, ძალიან მაღალი აღმოჩნდეს“... ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემების განთავსების ცალმხრივი ნაბიჯები, გარდაუვალია, რომ საპასუხო ზომებს გამოიწვევს. იქმნება წინაპირობები კონფრონტაციისა და გამალებული შეიარაღებისათვის“, - აცხადებს მედვედევი.

ამიტომაც, მაკაროვის თქმით, მოსკოვი პირველ ნაბიჯებს უკვე დგამს და „რუსეთის სამხრეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ახალი შეტევითი სისტემების განთავსება, მათ შორის „ისკანდერებისა“ კალინინგრადში, არის ევროპული ანტისარაკეტო თავდაცვის ინფრასტრუქტურის განადგურების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი“.

თეა ინასარიძე

## რას არ იტყვის კაცის ენა!



# უსიმღერო აფხაზეთი

**2 მაისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქუთაისის განახლებულ თეატრში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა.**

**იმისი ამჟამინდელი სტუმრობა „ქუთაისობა 2012“-ის ზეიმს მიეძღვნა. ფაქტობრივად კი ეს ქუთაისის დედაქალაქად კურთხევის ცერემონიალის ანონსი გახლდათ და პრეზიდენტმა სწორედ რომ საგანგებოდ აწონ-დაწონილი სიტყვა წარმოთქვა — რებუსებით სავსე, მინიშნებებით გაჯერებული, მაგრამ სხვა საპრეზიდენტო გამოსვლებისგან განსხვავებით ამჯერად მან თავის თავსაც გადააჭარბა და, როგორც იტყვიან, მთელი ამერ-იმერი გააოგნა.**

დაიწყო კი იმით, რაც მას კარგა ხანია ღრღნის და სულს უშფოთებს, რომ **„დღეს საქართველოში არიან ძალები, რომლებიც გააფთრებით ეწინააღმდეგებიან პარლამენტის ქუთაისში გადატანას“.** თანაც არა უბრალოდ, არამედ ქვემძრომულად: თურმე **„ეს ხალხი პირდაპირ ემსახურება საქართველოს მტერს — საქართველო მარტივად იმართება ჩრდილოეთიდან, თუკი მას მხოლოდ ერთი ქუჩიდან მართავენ. უფრო მეტიც, მთელ კავკასიას მართავდნენ არა თბილისიდან, არამედ ამ ერთი ქუჩიდან. საქართველოს დედაქალაქის ამ ერთ ქუჩაზე იყო შეკრებილი ყველა: იმპერატორის წარგზავნილები, სხვადასხვა ემირები, რაიკომისა(?) და „ცეკას“ მდივნები, ყველა სახალხო დაწესებულებაც ამ ქუჩაზე იყო.**

**90-იან წლებში, თითქოს, ისინი ქართველმა ხალხმა გააგდო, მაგრამ ისევ დაბრუნდნენ, ამ ერთ ქუჩაზე გახსნა ყველამ ოფისი და ძველებურად განაგრძეს საქართველოს ძარცვა. მათ, ვინც იქ ისხდნენ, არც თბილისი ანაღვლებდა და არც დანარჩენი საქართველო — სწორედ ამიტომ შეეძლოთ მათ ჩვენი ქვეყნის დაყოფა ძალიან მარტივად“.**

მაინც რომელია ეს იდუმალებით მოცული ქუჩა, რომელმაც ამდენ უბედურება სწია ქვეყანას?

ალბათ, რუსთაველის პროსპექტი უნდა იგულისხმებოდეს. ისიც უეჭველად უნდა იგულისხმებოდეს, რომ ეს ქუჩა (პროსპექტი) იმიტომ სძულს ასე საშინლად ბატონ პრეზიდენტს, რომ სწორედ იქ იმართება წამდაუწუმ საპროტესტო მიტინგები, მსვლელობები და ქვეყნის მეთაური ასევე წამდაუწუმ არბევს, ცხვირპირს უერთიანებს ამ მიტინგებსა და აქციებს.

არადა თურმე სწორედ ეს მოღალატე ქუჩა აქუცმაცებდა ქვეყანას. აბა პრეზიდენტის დალაგებულ მსჯელობას მოუსმინეთ: **„ჩვენ ილუზორულად ვაკონტროლებდით აფხაზეთს საბჭოთა პერიოდში — სოხუმში ქართული ენა არ ისმოდა. სიმღერები მუდმივად იწერება ვერაზე, ვაკეზე, ავლაბარზე (ეგ რომელი, მიშაჯან „მე ვალიკო, ბრმა ვალიკო ვარ?“) და ა. შ. ქუთაისზეც კარგი სიმღერები დაიწერა, მაგრამ სოხუმზე სიმღერები არ იწერებოდა, თითქოს ის საქართველოს შემადგენლობაში არ იყო და დასავლეთ საქართველო კონტროლიდან იყო გამოსული“.**

სოხუმზე სიმღერა არ გვაქვს ქართველებსო. აქედანაც მტკიცდება, რომ ეს კუთხე ჩვენი არ იყოო, — ჩვეულებისამებრ როყიოდ და დაუფიქრებლად ბრძანა პრეზიდენტმა.

არც დედოფლისწყაროზე და ახალქალაქზე გვაქვს სიმღერები და რა ვქნათ ახლა, დავუთმოთ პირველი მოძმე აზერბაიჯანს და მეორე მოძმე სომხეთს?

სიმღერები არ გვაქვსო! სიმღერა არ არის გალაკტიონის

**„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! —**
**ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.**
**— მომენატრა მზე, სინათლის მფენი;**
**მომენატრა ზღვა, რომელიც შორია...**
**...მომაგებე მშობლიური მიწა,**
**შენი ძველი მეგობარი მიცან“.**

ან **„აფხაზეთო, აფხაზეთო,**
**სულზე უფრო საყვარელო“.**

ან **„იქ, სად ერთი სახლი დგას,**
**სადაც ძველი ცხუმია,**
**სანაპირო მზიური თითქოს**
**აბრეშუმია“.**

განა აფხაზეთს არ უმღეროდნენ ტიციანი (**„მედეას ამბით შენ მომაგონდი და ჟრუანტელმა გული დასიცხა“**), კოლაუ ნადირაძე (**„აქ მოხდა, ალბათ, ნურადინ-ფრიდონ და ტარიელის შეყრაც პირველი!..“**), გოგლა ლეონიძე (**„ერთ არწივის ორი ფრთა ხართ, ერთი დიდი გულისთქმაცა“**), ირაკლი აბაშიძე (**„მწყუროდეს მუდამ, როგორც მწყურია მთების, ქედების ბროლით ნაჟური: ქცეული სიზმრად — დიოსკურია, ქცეული სიზმრად — ცა აფხაზეთი“**), ანა კალანდაძე (**„ლუშასპე და რიცა ტბებზე ძერწნის ზილფი... ბზიფი, მწვანე ბზიფი, ლურჯი ავადჰარა, ვარდისფერი — მთვარე“**), შოთა ნიშნიანიძე (**„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი, უსაქართველოდ“**), ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, თამაზ ჩხენკელი, თამარ ერისთავი, იზა ორჯონიკიძე, ზაურ ბოლქვაძე, ემზარ კვიტაიშვილი, ჯანო ჯანელიძე, გენო კალანდია, ნოდარ ჯალაღონია და სხვანი მრავალნი...

მაინცდამაინც გიტარაზე უნდა დაამღერო?

არც ერთი კუთხისთვის არ მიუძღვნიათ ქართველ პოეტებს იმდენი და ისეთი გულიდან ამოხეთქილი ლამაზი სიტყვები, როგორიც აფხაზეთს.

თქვენი ნათქვამი, პრეზიდენტო, არამც და არამც არ შემიძლია მივილო, როგორც თქვენთვის ჩვეული აბდაუბდა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ხოლმე ჭეშმარიტებასთან, სინამდვილესთან, სერიოზულობასთან.

**თქვენი სიტყვები — რაკიღა სიმღერა არ გვაქვს სოხუმზე, ესე იგი ეს კუთხე ფაქტობრივად ჩვენი არ იყო, მხოლოდ ნომინალურად გვეკუთვნოდაო, მავნე და კაპიტულანტურია, სეპარატისტების წყალზე უშვებს წყალს. ძალაუნებურად გაფიქრებინებს, რომ უკვე რაღაც მოლაპარაკება წამოგიწყიათ, რათა საქართველოს საბოლოოდ ხელი დააბანინოთ აფხაზეთზე, რაკიღა ეს ამაზრზენი „იდეოლოგიური გამართლება“ „შემოაგდეთ“ საცდელად.**

„ყველაზე დიდი ისტერიკა ახლა ატეხილია იმაზე, რომ მიწებს ვკარგავთ (ისტერიკაა, ბატონო პრეზიდენტო ეს თუ საყოველთაო ტირილი და თავში ცემა! რა იოლად უყურებთ ერის უდიდეს ტრაგედიას!ძ, არადა ვარდების რევოლუციამდე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული მიწა გვქონდა დაკარგული, რომელსაც აჭარა ჰქვია“.

მკრეხელობაა, ბატონო პრეზიდენტო, აჭარის და აფხაზეთის დაკარგვის გაიგივება!.

თურმე **„ქუთაისის მეორე დედაქალაქად გადაქცევა, როგორც ეს დავით აღმაშენებლის დროს იყო** (სულკურთხეულმა დავითმა ქუთაისი მეორე დედაქალაქად კი არა აქცია, ქუთაისიდან დედაქალაქი თბილისში გადმოიტანა ათწლეულობით ბრძოლისა და საბოლოო გამარჯვების შემდეგ!ძ **დასავლეთ საქართველოზე სრული კონტროლის დაწესების ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველი“.**

„აფხაზეთი ქუთაისიდან უნდა დავიბრუნოთ, ისევე როგორც აჭარა დავიბრუნეთ გასულ წლებში. ეს არის ჩვენი გეოპოლიტიკაო“.

მეტი არაა ჩვენი მტერი, ასე ვერაფერს დავიბრუნებთ. ის კი არა, უფრო მეტს კიდევ დავკარგავთ.

ბოლოს გულში ჩამარხული ერთი ნატვრაც გაგვიმხილა: „ჩემთვის წარმოუდგენლად კარგი აურაა ანაკლიაში. ის არის ჩემი მიწა და მინდა აქ მოიფინოს ჩემი ფერფლი, როდესაც აღარ ვიქნებიო!

მაგრამ მანამდე ბევრი წყალი ჩაივლის, ბევრი საპრემიერმინისტრო ვადა და ჯახაჯუხი. საიმდროოდ დედაქალაქი იქნებ ქუთაისიდან ანაკლიაში ან სულაც ლაზიკაში გადაბარგდეს...

**სანდრო ალექსიძე**

## კომუნისტური პრესის კალენდარი

# ასწლოვანი „პრავდა“

**მსოფლიოში ფართოდ ცნობილი გაზეთის „პრავდის“ დაბადების წელია 1912, პირველი ნომრის გამოსვლის დღეა 5 მაისი; გაზეთი დაარსებულია ვ. ი. ლენინის მიერ.**

**რუსეთის კომუნისტებთან ერთად გაზეთმა გაიარა დიდი ისტორიული გზა რევოლუციის გამარჯვებისთვის, სოციალიზმის აშენებისთვის ბრძოლაში. ასრულებდა რა კოლექტიური აგიტატორის, კოლექტიური პროპაგანდისტისა და კოლექტიური ორგანიზატორის როლს, „პრავდა“ ჩამოყალიბდა ავტორიტეტულ გაზეთად.**

„პრავდის“ ასწლოვანი ისტორია გაჯერებულია უზომოდ მრავალფეროვანი ფაქტებით:

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის ხალხთა ბრძოლის შესახებ;

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების თაობაზე;

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე სამოქალაქო ომისა და იმპერიალიზმის ქვეყნების ინტერვენციის წლებში სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვის, შენარჩუნებისა და განტკიცების შესახებ;

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე სიძნელეებსა და წარმატებებზე საბჭოეთის ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის წლებში;

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე გამარჯვებული სოციალიზმისა, 1936 წლის 5 დეკემბერს სტალინური კონსტიტუციის მიღებისა;

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე სოციალიზმის სხვადასხვა მტრის წინააღმდეგ კომუნისტთა ლენინური პარტიის უკომპრომისო იდეური ბრძოლისა.

„პრავდის“ ისტორია — ეს არის დიდი სამამულო ომის წლებში ფაშიზმთან უძნელესი შერკინების დროს სსრ კავშირის ხალხების გმირობის, პატრიოტიზმისა და მეგობრობის ისტორია;


Пролетарии всех стран, соединяйтесь!
ПРАВДА
КОММУНИСТИЧЕСКАЯ ПАРТИЯ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ
№83 (29201) • 7 августа 2008 года • Цена свободная
Коммунисты и их сторонники обещают властям жаркую осень. 19 сентября пройдёт Всероссийская акция протеста против социально-экономической политики правительства РФ, против роста цен на продукты питания и товары первой необходимости.

„პრავდის“ ისტორია — ეს სიმართლეა საბჭოეთის ქვეყნის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენის შესახებ;

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე საბჭოეთის მიღწევების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ, სიმართლე საბჭოთა ადამიანის, კომუნისტ ი. ა. გაგარინის მიერ კოსმოსის დაპყრობის შესახებ;

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე საბჭოთა კავშირის მოღალატური დაღუპვის მიზეზების თაობაზე;

„პრავდის“ ისტორია — ეს სიმართლეა სოციალიზმის, მშრომელთა ძალაუფლების, ხალხთა შორის მეგობრობისთვის რუსეთის ფედერაციის კომუნისტების ბრძოლის შესახებ;

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე 1912 წლის 5 მაისიდან ჩვენს დღეებამდე საერთაშორისო თანამეგობრობის ცხოვრებაზე.

„პრავდის“ ისტორია — ეს არის სიმართლე მთელს მსოფლიოში მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის ისტორიის თაობაზე.

ჩვენს დროში გაზეთი „პრავდა“, — რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ორგანო და საბრძოლო იარაღი, გვევლინება, როგორც მამობილიზებელი იდეური ძალა რუსი კომუნისტების ისტორიული მისიის შესასრულებლად.

„პრავდა“ — ეს არის გამარჯვებებისა და დამარცხებების, ზეიმებისა და დანაღვლიანების, დღესასწაულისა და გლოვის მატიანე.

„პრავდამ“ გადაიტანა მრავალი საშინელება, მაგრამ ამასთან ერთად განიცადა მშრომელთა ისტორიული მიღწევების სიხარული.

ჩვენ, ქართველი კომუნისტები, მხურვალედ მივესალმებით ასწლიან იუბილარს და დარწმუნებული ვართ, რომ გაზეთი „პრავდა“ მუდამ იქნება სიმართლის სადარაჯოზე და მშრომელი ხალხის იმედად.

**ნუგზარ ავალიანი,**
**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები.**
**2012 წლის 25 აპრილი.**

# ნანა გულუა: „დღევანდელი პოლიტიკური ნება არ ასახავს ქართველი და აფხაზი ხალხების ნებას“

**„სააკაშვილი აფხაზეთში არათუ დაგვაბრუნებს, თუ ხელისუფლებაში დარჩა, სხვა ტერიტორიებსაც დაგვაკარგვინებს“, – საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის ქუთაისში გამოსვლას პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ საერთაშორისო მრჩეველი მინდია გულუა. პარტიის ლიდერთან – ბატონ მინდიას დასთან – ნანა გულუასთან საუბარი სწორედ ამ განცხადებით დავიწყეთ:**

**– ქალბატონო ნანა, ბატონი მინდია ინტერნეტში წერს, რომ იგი სააკაშვილის ზღაპრების შეფასებას დეტალურად არ შეუდგება (ეს თავიდან ბოლომდე დემაგოგიაა). ყურადღებას ამახვილებს იმ „აღმოჩენებზე“, რომლებმაც ყველაზე მეტადააფორიაქა: „ყველაფერს აქვს საზღვარი, ბატონებო, მათ შორის – დემაგოგიას, მით უფრო, თუ იგი საფრთხეს უქმნის შენი ქვეყნის ინტერესებს: გუშინ პირველად გავიგე, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს ქართული ენა არ სცოდნიათ და სოხუმზე სიმღერები თურმე, ქართულად არ იწერებოდა; რომ აფხაზეთი იმ ავადსახსენებელ ომამდეც არ შედიოდა საქართველოს იურისდიქციაში. რომ აჭარის „დაბრუნება“ საქართველოსთვის „ვარდების რევოლუციის“ მთავარი მონაპოვარი ყოფილა“...**

**როგორ შეაფასებდით მინდია გულუას რუსეთიდან გამოგზავნილ ამ გამოხმაურებას?**

– აგერ ახლა, თქვენთან ერთად წავიკითხე ინტერნეტში მინდიას წერილი. ვიცი, რომ ძალიან ემოციურია. ყოველთვის ვცდილობ, დავამშვიდო, რათა ნაკლებად გამაღიზიანებელი განცხადებები გააკეთოს – არავინ იცის, რა შეიძლება მოჰყვეს ყოველ ასეთ მძაფრ გამოსვლას. გულის სიღრმეში კი შეურაცხყოფილი ვარ. მინდია წერს, როგორ ბედავს ბატონი პრეზიდენტი აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებზე ასეთი გონორით საუბარსო. ჩემთვის მართლა შეურაცხმყოფელია ბატონი პრეზიდენტის ეს სიტყვები, და აი, რატომ:

მე სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი აფხაზი ქალი იყო, რომელმაც სამი შვილი გაუზარდა საქართველოს და სამივე – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, ვკითხულობ – უჭირდა აფხაზეთში ქართულ ენას?

ასეთი მიდგომა არამცთუ დაგვაბრუნებს აფხაზეთში და დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, არამედ ძალიან დაგვაშორებს. ასეთი მიდგომა ნამდვილად უფსკრულისკენ მიგვაქანებს.

**– როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის სიტყვებს, რომ ქუთაისიდან უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი აჭარის მსგავსად?**

– მოდით, ამას უკომენტაროდ დავტოვებ, რადგან ნამდვილად არ იმსახურებს კომენტარს. ეს ცინიზმია და ყველანაირ საზღვარს სცილდება, არამცთუ შეურაცხმყოფელია ჩვენთვის – ქართველებისთვის. არ ვაკადრებ იმ აფხაზებსაც კი, ვინც დღეს იქ არიან.

ძალიან ვფრთხილობ ამ თემაზე საუბრისას: ვიცი, სად ვცხოვრობთ და როგორ შეიძლება დამიბრუნდეს უკან ეს ნათქვამი მე – პირადად, თუნდაც დევნილ საზოგადოებას, ან იმ ხალხს, ვინც ჩვენს გვერდით დგანან. ვფიქრობ, ბატონმა პრეზიდენტმა თავისი სიტყვების გამო ბოდიში უნდა მოუხადოს აფხაზეთის ქართველობას.

იბადება კითხვა – სად იყო ბატონი პრეზიდენტი მაშინ, როდესაც ქართველი ბიჭები ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ? და თურმე რისთვის? იქ საქართველოსთვის იმდენი ახალგაზრდა დაიღუპა, და თურმე, აჭარის მსგავსად, არაკონტროლირებადი ტერიტორია კი ყოფილა. ასეთი მიდგომა აფხაზეთს დაგვიბრუნებს? ვფიქრობ, ეს სიტყვები კომენტარის ღირსიც არ არის. და როგორ გგონიათ, ჯერ აფხაზეთი უნდა დავიბრუნოთ თუ ადამიანები? და ადამიანებს მსგავსი განცხადებები ჩვენკენ შემოაბრუნებს?

**– არაერთხელ გახმიანდა, რომ თქვენს პარტიას აქვს აფხაზეთის დაბრუნების გეგმა. კონკრეტულად რას გულისხმობთ ამ გეგმაში? რა არის ის განსხვავებული, რაც სხვათაგან გამოგარჩევთ?**

–აფხაზეთში დასაბრუნებლად ჯერ იქ მცხოვრები ხალხი უნდა დავიბრუნოთ: სახალხო დიპლომატიის ახალი ფორმა შევთავაზოთ. ამის გარდა, ეკონომიკა უნდა განვითარდეს – გზა გავუხსნათ იმ ადამიანებს, წინ წავიდნენ, ჩვენი დახმარებით აალორძინონ ეკონომიკა. ვგულისხმობ ინვესტიციების ჩადებას. დავანახვოთ ჩვენი თავი, პირველი ნაბიჯი ჩვენ გადავდგათ.

თქვენ მკითხეთ, რა არის აფხაზეთის დაბრუნების ჩვენეული, განსხვავებული გზა. უწინარესად, ის, რომ აფხაზმა თქვას – თბილისია მისი, არამცთუ ქუთაისია, სოხუმია მისი... თბილისიც რომ მისია, ეს უნდა იგრძნოს. ეს ერთი და ორი დღის ამბავი არ არის, რომ რეცეპტივით გამოიწეროს, მერე კი წამლით უცებ განიკურნოს. გამოსავალი ჩვენ თვითონ – ხალხმა უნდა ვეძებოთ.

ჩვენი განსხვავებული მიდგომა სწორედ ეროვნული თანხმობის მიღწევაა, რაღაც საკითხზე მაინც. არის რაღაც პრიორიტეტული საკითხების ნუსხა, რაზეც ნებისმიერი პოლიტიკური ძალა უნდა შეთანხმდეს და, იმავდროულად, ერთიანი ხედვა შემუშავდეს. სხვა გზა არ არსებობს – უნდა შევთანხმდეთ.

**– თქვენი პარტია 12 მაისს დევნილთა უპრეცედენტო შეკრებას გეგმავს. სად გაიმართება ეს შეკრება და რატომ არის მნიშვნელოვანი?**

– დევნილთა ფართომასშტაბიანი შეკრება თბილისში, ზუგდიდში, სამეგრელოს რამდენიმე რაიონში იგეგმება. ხელისუფლებას პირიქით, ხელს უნდა აძლევდეს ეს შეკრება, რადგან ეს არ არის მიტინგი, ის ადგილი, სადაც ვიტყვით: ძირს მიშა! წადი მიშა! წავიდა ამის დრო... მოვა არჩევნების დრო და ამომრჩეველი თავის სიტყვას იტყვის. სხვა გზა არ არსებობს, დაღუპვაა.

12 მაისი იქნება თანხმობის, ერთობის მშვიდობიანი დღე, აფხაზების, ოსების, ქართველების შერიგების დღე! ქართველები პირველ ნაბიჯს გადავდგამთ და დაე, ერთ მუშტად შეკრულნი გვნახოს მსოფლიომ – აი, რამდენი ვართ და ომი კი არ გვინდა, მშვიდობა გვსურს. აფხაზმა და ოსმა ხალხმა ნახოს ჩვენი მზაობა. ჩვენ ნამდვილად აფხაზები და ოსები გვინდა, და არა მარტო მიწა.



**– ქართულ-აფხაზური კონფლიქტიდან 20 წელი გავიდა. როგორია დევნილების განწყობა?**

–ჩვენი გულები ზუსტად ისევეა ერთმანეთისთვის, როგორც წლების წინათ იყო. მეტიც, აფხაზების იმ ნაწილმაც კი, ვინც იბრძოდა და განსხვავებული ექსტრემისტული შეხედულება ჰქონდა, იცის, რომ საჭიროა ქართველებთან ურთიერთობა, მაგრამ ამას სჭირდება პოლიტიკური ნება. სამწუხაროდ, დღევანდელი პოლიტიკური ნება არ ასახავს ქართველი და აფხაზი ხალხების ნებას. დევნილებს არავინ გვეკითხება, როგორ გადავწყვიტოთ ეს პრობლემა. თუკი ხელისუფლებამ 20 წლის განმავლობაში ეს ვერ გააკეთა, მოგვცენ იმის საშუალება, რომ ჩვენ თავად ვიმოქმედოთ: შევიკრიბოთ, მოვეფეროთ ერთმანეთს, თბილი სიტყვა ვუთხრათ იმ ხალხს, ვინც გვენატრება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**– 12 მაისს დევნილთა შეკრებას რაიმე მსგავსი აქციით სოხუმშიც ხომ არ გამოეხმაურებიან?**

– ჯერჯერობით არაფერი იგეგმება, მაგრამ შესაძლოა, სოციალური ქსელის საშუალებით, პირდაპირ ეთერში აფხაზეთელი საზოგადოება 12 მაისს გულისფანცქალით ელოდებოდეს. შეკრებას ნახავს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი და ისინიც, ვისაც გადაწყვეტილებების მიღება ხელეწიფება.

ინფორმაციამ შეკრების თაობაზე უკვე მიაღწია მათთან, რადგან იქიდან გამოძახილი არის. ყოფილა შემთხვევები, რომ აფხაზები სამკურნალოდ, ანდა ეკლესიის მშენებლობისას ჩამოსულან, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამას პოლიტიკური პარტია უკეთებს ორგანიზებას. აფხაზები ჩამოსვლას აპირებენ, თუმცა მამუკა ჯოლიას ფაქტორმა ძალზე უარყოფითი როლი შეასრულა.

**– კონტროლის პალატამ ხუთ შემომწირველთან ერთად აფხაზეთელი მამუკა ჯოლიაც დააჯარიმა. მან თქვენს პარტიას თანხა შემოსწირა.**

– მართლაც, სიმბოლური იყო, რომ აფხაზეთში მცხოვრებმა ადამიანმა ეს ნაბიჯი გადადგა – მამუკა გალიდანაა. მის სისხლში არის როგორც ქართული, ისე აფხაზური სისხლი – ნახევრად აფხაზი და ნახევრად ქართველია. ასეთი ოჯახები მრავლად ვართ აფხაზეთში. ჩემი მეულისშვილი აფხაზია. ოჯახში ქართველი რძალი მე ვარ, სიძე კი – აფხაზი. აფხაზს ქართველისგან არასდროს გამოვარჩევდით – ისტორიულადაც ასე იყო და ეს დამოკიდებულება ისევ უნდა აღდგეს. რიგითი აფხაზი და ქართველი ამბობენ, მოგვეცით ერთმანეთთან დაახლოების საშუალება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, გახსენით გზა – ჩვენ მივალთ ერთმანეთთან. კავშირები აღდგება, ეკონომიკა განვითარდება, სამუშაო ადგილები შეიქმნება. ხალხი თავისით იპოვის საცხოვრებელსაც და სამუშაოსაც, ოღონდ ამის საშუალება მისცენ.

**– მაგრამ საამისო პოლიტიკური ნება არ არსებობს. ამაში უზარმაზარ როლს ხომ რუსეთის ფაქტორი ასრულებს?**

– გეთანხმებით. რუსეთი ის სახელმწიფოა, ვისაც ანგარიში უნდა გაუწიო. მთელი მსოფლიო, და ჩვენ – პატარა საქართველო მუშტებით უნდა ვესაუბრებოდეთ? რაზეც ახლა ვლაპარაკობ, ეს პრორუსულობას არ გულისხმობს, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

ჩვენი მიმართულება და კურსი პროქართულია, და არა – პრორუსული და პროამერიკული. რას ვგულისხმობ? იმ დოზით, რა დოზითაც რუსეთთან ურთიერთობა ჩემი ქვეყნისთვის იქნება სასარგებლო, რასაკვირველია, კომპრომისი გვმართებს ნებისმიერ სახელმწიფოსთან, ანუ ამოსავალი ქვეყნის ინტერესია. ჯერჯერობით ვხედავთ ქვეყნისთვის მხოლოდ საზიანო პოლიტიკას. მხოლოდ ვიზუალურ მხარეზე ყურადღების გამახვილება – რა ლამაზია, როგორ დამშვენდა საქართველო, არ არის მართებული. აბა, შიგნითაც ჩავიხედოთ, რა რთული ვითარებაა, როგორ უჭირს მოსახლეობას. ორიოდე დღის წინათ, უნივერსიტეტში ლექციაზე შესვლამდე, ქალბატონმა შემაჩერა. მშობელი მეგონა და დახმარების სათხოვნელად მოსული გაჭირვებული მოქალაქე აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ცხრილის საშუალებით მომძებნა. ვინ დათვლის, ასეთი რამდენი ადამიანია ჩვენს ირგვლივ. რეალობა ეს არის. მე და თქვენ ცალ-ცალკე ვერაფერს შევცვლით. მთლიანობაში, ნებისმიერი საკითხის მიმართ მიდგომაა შესაცვლელი.

**– ბათუ ქუთელიამ ქართულ-გერმანულ სტრატეგიულ ფორუმზე განაცხადა, რომ საქართველოს დეოკუპაცია და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში შესვლა პარალელური პროცესია და საქართველო ნატოს შემადგენლობაში სრული ტერიტორიით შევაო. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე? ბატონი მინდია გულუა ნატოში შესვლის საკითხს 10-15 წლის მერე მოიაზრებს...**

– ვფიქრობ, ზემოხსენებული განცხადება მორიგი სიცრუეა. ხოლო როდესაც მინდია გულუა 10-15 წელზე ლაპარაკობს, ამით უარს კი არ ამბობს ნატოზე, არამედ სიტუაციიდან გამომდინარე, რეალურად აფასებს, რასაც ხედავს. სამწუხაროდ, მავანს სურს იგი ნატოს მოწინააღმდეგედ წარმოაჩინოს, მაგრამ ასე არ არის – ნატოში ტერიტორიადაბრუნებული, გამთლიანებული საქართველო უნდა შევიდეს, ანუ როცა სხვა რეალობაში ვიქნებით. დღევანდელი რეალობა კი ისეთია, უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორია, თუნდაც – დემოკრატიის ხარისხი. რეალობის კარნახის გათვალისწინებით, დღეს სხვა რამ გვჭირდება.

**– ქალბატონო ნანა, როგორ უნდა გაიმარჯვოს ოპოზიციამ არჩევნებში, როდესაც მის სპექტრში უთანხმოებაა, თუნდაც – ბურჯანაძე-ივანიშვილის დაპირისპირება, ამას წინათ, „რეალ ტვ“-ის ტელეეთერით ბატონმა მინდიამაც გააკრიტიკა ივანიშვილი. ეს ყველაფერი კი, მოგეხსენებათ, სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს...**

– ვერ დაგეთანხმებით, რომ მინდია გულუამ გააკრიტიკა ბიძინა ივანიშვილი. შეკითხვები იყო ასე დასმული, ანუ თავად შეიცავდა პასუხსაც, მაგალითად ასეთს – „თქვენ აკრიტიკებთ“, „თქვენ უპირისპირდებით ივანიშვილს“...

ნამდვილად არ სცალია მინდიას ვინმესთან დაპირისპირებისთვის. მან თქვა, პატივს ვცემ ბიძინა ივანიშვილს, როგორც ქველმოქმედ ადამიანს. ხოლო ის, თუ ვინ შემოიკრიბა გარშემო, თავისი არჩევანია.

ამ შეკითხვაზე მარტივად გიპასუხებთ: ჩვენს დროს ჯერ კიდევ კარგად სწავლობდნენ რუსულ ლიტერატურას. გახსოვთ, ალბათ, лебедь, рак да щука, მათი მსგავსი ქმედებით ვერ ააშენებ ვერაფერს... ზუსტად ასეთი სიტუაციაა.

სიმართლე გითხრათ, არსად ჩანს ივანიშვილისეული აფხაზეთის დაბრუნების გეგმა, გასაღები. ეს თქვა მინდიამაც. ვფლობთ ინფორმაციას, რომ მას ეს ნამდვილად არ აქვს.

პირადულზეც უნდა ვისაუბრო. ხომ არსებობს რაღაც მოტივი, რამაც მე – ქალი ოჯახიდან გამომიყვანა, ყველაფერი გადავდე და მინდიას გვერდით ამოვუდექი. ეს არის ის, რის გამოც მინდიას, მე და ჩვენებს, ვინც გვერდით დგას, უნდათ აფხაზეთის დაბრუნება. აქედან გამომდინარე, ვკითხულობ, ვარიანი თუ არა მოტივირებული ხალხი და სწორი რეაქცია გვაქვს.

**– თუ საიდუმლო არ არის, პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ ვინმესთან მოიაზრებს გაერთიანებას არჩევნების წინ?**

– ამას მომავალი გვიჩვენებს. არჩევნებამდე კიდევ 6 თვეა დარჩენილი. ჯერჯერობით ძალიან ჩუმად, ჩვენთვის ვაშენებდით სტრუქტურებს...

**– ზოგმა არც იცის თქვენი პარტიის არსებობა...**

– იმიტომ, რომ არ ვხმაურობთ, მაგრამ რაიონებში, სადაც ჩავდივართ, უკვე ნელ-ნელა გაიგო ხალხმა ჩვენზე. ეს ხმაურიც თავის დროზე იქნება. მთავარია, რომ ჩვენთან სუფთა რეპუტაციის ადამიანები არიან, რომელთაც ვერ დასწამებ რაღაც გარიგებებში ყოფნას. ყველანი პროფესიონალები, მოტივირებული არიან. ვერ ნახავთ გაცვეთილ სახეებს, ვინც უკვე საკუთარი ქმედებით თავი გამოავლინა. საზოგადოება მალე შეაფასებს ამ ადამიანების სიტყვისა და საქმის ერთობას.

**– თქვენი შემომწირველები კონტროლის პალატამ ათმაგად დააჯარიმა. რაიმე შედეგი მოჰყვა თუ არა დიპლომატიური კორპუსისა და უფლებადამცველი ორგანიზაციისადმი თქვენს მიმართვას?**

– ჩვენს პარტიას ჰყავს იურისტი, რომელიც გაუწევს კონსულტაციას იმ ადამიანებს, ვინც შემოწირულობა შემოიტანა. ამ ხალხს არაფერი დაუშავებია. მათ უნდოდათ ჩვენს გვერდში ყოფნა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისამართი არასწორად აირჩიეს – ეტყობა სჯობდა ნაციონალური მოძრაობისთვის შეეწირათ! რაც შეეხება შემოწირულობებს, დაიწყო 17 თებერვალს. სამი დღის განმავლობაში, თუ რაიმე შენიშვნა ჰქონდათ, კონტროლის პალატას უნდა ეცნობებინა პასუხი. მანამდე პარტიას თანხა არ დაუხარჯავს, მხოლოდ 30 აპრილს მოვიდა შეტყობინება, რომ თურმე უკანონო შემოწირულობა განხორციელდა, 64 ათასი ლარი უკან უნდა დავუბრუნო ამ მოქალაქეებს 3 დღის განმავლობაში...

და თებერვალში შემოწირული თანხა უნდა გადაიხადოს პარტიამ იმ შემოწირულობიდან, რომელიც ერთ-ერთმა მოქალაქემ შემოიტანა (სხვა ქვეყანაში მოღვაწეობს, მაგრამ საქართველოს მოქალაქეაძ, და ეს თანხა ორგანიზაციის მიზნებს უნდა მოხმარებოდა.

აი, ასეთი აბსურდული სიტუაცია იქმნება. სად არის სამართალი? – ვკითხულობ.

აღარაფერს ვამბობ კონტროლის პალატის, მართლაც, აბსურდულ შენიშვნაზე: რატომ შემოსწირა თანხა დევნილმა რომელიც 28-ლარიან დახმარებას ღებულობსო... ეს თანხა მას ძმამ გადმოურიცხა. მათ ბიზნესი ჰქონდათ სოხუმში ყოფნიდან მოყოლებული, დღეს კი იგი სხვა ქვეყანაში წარმოებული ამ ბიზნესიდან რაღაც წილს იღებს. ეს უბრალოდ შემოწირულობა არ იყო. მათ ორივეს აფხაზეთში დაბრუნებისთვის უძგერთ გული. და რა გასაკვირია, თუ ძმა პარტიულ საქმიანობაში ძმას დაეხმარება? ვკითხულობ, რატომ არ უნდა აიღოს მან, როგორც დევნილმა, 28-ლარიანი დახმარება? კარგად ვიცნობ ამ ადამიანს, იგი ოჯახის წევრების 28-28-ლარს თავის ფულს უმატებს და მერე სხვას ეხმარება...

კონტროლის პალატაში ჩვენი ერთ-ერთი შემომწირველი ლევან გვარმიანი ზედმეტი კითხვებით შეაწუხეს, ისიც კი ჰკითხეს, ბებიის გასვენებაში რამდენი თანხა დახარჯა, რაც, მსუბუქად რომ ვთქვათ, არაეთიკურია. შემდეგ, როცა გამოიძახეს და ოქმი ჩააბარეს, იქ ეწერა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია სამართალდამრღვევის დასწრების გარეშე. ეს უკვე დარღვევაა, დანაშაულია.

გულწრფელად გეტყვით, ნათია მოგელაძესთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს. იგი მიზანმიმართულ დავალებას ასრულებს – ან უნდა შეასრულოს, ან შინ წავიდეს. ვფიქრობ, სამუშაო ადგილი მას სჭირდება. არადა, კონტროლის პალატის ქმედებებიდან გამომდინარე, გეკითხებით, ასე შეიძლება სამართლიანი დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნა?

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

# რით და როგორ დაემსგავსა სააკაშვილი ვარლამ არავიძეს!

„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრება დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტს სოსო ცისკარიშვილს.



**— ბატონო სოსო, პრეზიდენტმა ქუთაისში გამოსვლისას ხელისუფლებაში დარჩენა მისთვის უჩვეული თხოვნის ტონით გამოხატა. კერძოდ, — „დამაცადეთ 2-3-4 წელი და გაძლევთ გარანტიას, რომ წყალტუბოს ევროპაში ყველაზე მაგარ ადგილად ვაქცევ“. საყურადღებო იყო მეორე გამონათქვამიც — „ანაკლია არის ჩემი მიწა, მინდა იქ მოაფინონ ჩემი ფერფლი, როცა აღარ ვიქნები“. როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის ამ განცხადებებს?**

— თემები, რომელთაც უკანასკნელ პერიოდში აჟღერებს ბატონი პრეზიდენტი, ძნელად პროგნოზირებადია და ალბათ, არ მოასწავებს რაიმე წინასწარგანსაზღვრულ და დაგეგმილ ფრაზათა კორიანტელს. ეს არის ნაკლებად კონტროლირებადი ავტორის ემოციური გამოსვლები. იგი სუბიექტური აზრის გადმოცემის დიდოსტატი ნამდვილად გახლავთ.

ბატონი პრეზიდენტის მოსმენისას მეხსიერებაში ძალაუნებურად ჩნდება პარალელები. „გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთ!“ — ამბობდა ეკრანიდან ვარლამ არავიძე; „ვაცალოთ, ვაცალოთ“! — იძახდნენ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები, „ვაცალოთ, ვაცალოთ“! — თითქმის სამი ათწლეული აცხადებდნენ შევარდნაძის მომხრეები, მაგრამ ვარლამ არავიძის გარდა, პირადად და საჯაროდ არავის უთქვამს, მაცალეთო. დანარჩენზე, ყოველ შემთხვევაში, ხალხის ნაწილი ვაცალოთ, ვაცალოთო, თავად იძახდა. სააკაშვილის ამ განცხადებაში ერთი პროგრესული ის გახლავთ, რომ პრეზიდენტი კონკრეტულ ვადებს — 2-3-4 წელს ითხოვს ხელისუფლებაში დასარჩენად, რომ აალორძინოს წყალტუბო. მაგრამ საქართველოში წყალტუბოს მსგავსად დანგრეული იმდენი ქალაქია, ალბათ მთელი საქართველოს ევროპულ დონეზე აღორძინებას რამდენიმე ასეული წელი დასჭირდება. ღმერთმა ხელი მოუმართოს, ჯანი მისცეს და ბარაქა!

**— IRI-ს კვლევის შედეგების მიხედვით, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, „ნაცმოძრაობის კანდიდატს“ 37% დაუჭერდა მხარს, „ქართული ოცნების“ კანდიდატს 19%, ხოლო ქდმ-ს კანდიდატს 10%. ხოლო კითხვაზე — თუ რომელ ოპოზიციონერ ლიდერს ენდობით მეტად, შედეგი ასეთია — გიორგი თარგამაძე — 28%, ბიძინა ივანიშვილი 21%. როგორ შეაფასებდით მორიგი კვლევის შედეგებს?**

— ჩემი აზრით, ენ-დი-აი და აი-რაი ისეთივე გამძაფრებით ებრძვიან საქართველოში ერთმანეთს, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში — მათი მმართველი პარტიები ამერიკაში. მსხვერპლი კი დაბნეული საქართველოს მოსახლეობაა, ვინაიდან ისინი საჯაროდ არ საუბრობენ კვლევისას გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე და მათ მიერ ჩატარებულ კვლევებს პრაქტიკულად ისედაც დაბნეული და დაშინებული მოსახლეობის დაკითხვის და არა გამოკითხვის დაღი აზის. ცხადია, ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტების კვლევისგან შორს ვიქნებით, მაგრამ ციფრებს საკუთარი ლოგიკა მაინც აქვს.

არ გამკვირვებია ის ფაქტი, რომ ოპოზიციურ ლიდერთა ჭიდილში ლიდერობს ბატონი გიორგი თარგამაძე, რადგან ყველა ის მოქალაქე, რომელიც უპირატესობას „ნაცმოძრაობას“ ანიჭებს, ვალდებულია, ოპოზიციურ ველში თავის ფავორიტად გიორგი თარგამაძე დაასახელოს. ამიტომ, თუ „ნაცმოძრაობის“ ხმები ოპოზიციაზე გადანაწილდა, მაშინ მართალია, თავად „ნაციონალებს“ აღარ ეყოფათ ეს ხმები. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ არ ენანება ხელისუფლებას გიორგი თარგამაძის ყველაზე სანდო ოპოზიციურ ლიდერად წარმოჩენა. სხვათა შორის, ეს ამბავი მაინცადამაინც არც საზღვარგარეთს გაუკვირდება. რადგან, წლების განმავლობაში თარგამაძე აქტიურად ურთიერთობს ოკეანის ორივე მხარეს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან და ქვეყანაში ოფიციალურად სახელდებულია, როგორც კონსტრუქციული ოპოზიციის ლიდერი. ჩვენ ნელ-ნელა შეგვაჩვიეს, თითქოს გიორგი თარგამაძე ყველაზე რეიტინგული ოპოზიციური ლიდერია და, შესაბამისად, აღარც ამის დამადასტურებელი ციფრები უნდა გვიკვირდეს, რომელიც აშკარად შელამაზებულია. ჩვენ ამაზე თავადაც არ გვაქვს რაიმე რეაქცია, თუმცა სინამდვილეში ეს გახლავთ საშინაო დავალება „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებისთვის, რომ ოპოზიციურ ველში სხვა რომელიმე კონკურენტი რაც შეიძლება შორს იყოს ქდმ-ს ლიდერისგან.

**— საარჩევნო სიების დასაზუსტებლად პროგრამა „კარდაკარი“ 24 აპრილს კი დაიწყო, მაგრამ თუ რადიო „პალიტრაში“ არა მარტო თბილისიდან მოქალაქეების ზარებით ვიმსჯელებთ, „კარდაკარის“ წარმომადგენლები ამა თუ იმ მისამართზე ბინების მეპატრონეთათვის უცნობი და მიწერილი პირების ფაქტებზე არ რეაგირებენ, რა აზრი აქვს ამგვარ „კარდაკარს“? ამ პროგრამის მიმართ ბევრი თავიდანვე სკეპტიკურად იყო განწყობილი, თქვენი მოლოდინი როგორია?**

— ფაქტია უსუსურობა და დანაშაულებრივი თვალთმაქცობა, თითქოსდა საამაყო სამოქალაქო რეესტრისა, რომელიც წლების განმავლობაში თავს არ იწუხებს იმისათვის, რომ რეალური სურათი წარმოაჩინოს. ჩნდება ეჭვი, რომ სწორედ ასეთი დარღვევებისთვისაა უფრო მოწოდებული ამ რეესტრის საქმიანობა, ვიდრე მოსახლეობის მომსახურებისას რაიმე სიკეთის საქმნელად. დღეს ძნელია საუბარი, თუ რა შედეგით დასრულდება „კარდაკარ“ შემოწმების პროცესი. დიდი სურვილი მაქვს, ეს პროცესი ღირსეულად დასრულდეს და არა მარტო გამოვლინდეს, აღმოიფხვრას ყველა ის დარღვევა, რომელიც რეალურად არსებობს ამ საკითხში. იმედი მაქვს, რომ თავად კომისია, რომელიც შექმნილია და ბიუჯეტიდან მილიონობით ლარს მოიხმარს მიზნის მისაღწევად, არ იქნება მდუმარე და მოსახლეობის თვალებში ნაცრის შეყრის პრინციპს არ დაადგება, რომ კვლავ თეთრი შავად მოგვაჩვენოს. რასაკვირველია, აზრი ექნებოდა ცხელი ხაზის დაწესებას, რომელზეც ყველა კარდაკარით უკმაყოფილო მოქალაქე პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის განურჩევლად დარეკავდა საარჩევნო სიების დაზუსტების კომისიაში და წვრილად მოუყვებოდა თავის დაკვირვების შედეგებს.

**— უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ცესკოს საარჩევნო უბნები განესაზღვრა, ამ უბნებზე „კარდაკარის“ ხალხს ჰქონოდა ოფისები, რომლებშიც გამოკრული იქნებოდა ამომრჩეველთა სიები და მათ დაზუსტებაში მონაწილეობის მიღების საშუალება მთელ საზოგადოებას ექნებოდა? ასეთ ვითარებაში ძალიან ბევრი საკითხი ხომ ოპერატიულად გადაწყდებოდა...**

— თქვენი მოსაზრება მარწმუნებს, სრულიად კანონზომიერია ის ფაქტი, რომ თქვენ არ ხართ საარჩევნო კომისიაში. თქვენი რეცეპტით აღარც მილიონების დახარჯვა იქნებოდა საჭირო და ჩვენი ამომრჩევლის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ უბანზე მისულიყო და ადგილზევე თავად ემხილებინა ის სიცრუე, რომელშიც ათეულობით წლებია, ვიმყოფებით. თქვენს მიერ შემოთავაზებულ მოდელს სათაურად ჰქვია გამჭვირვალობა. გამჭვირვალობა, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი აუცილებელი წყარო, ჩვენი ხელისუფლებისთვის სრულიად მიუღებელია. სამწუხაროდ, თქვენი წინადადება იმის გამო ვერ იქნება რეალიზებული, რომ ჩვენს ხელისუფლებას ეშინია დემოკრატიის და მას ყველა საშუალებით გაურბის.

**— ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ გაზეთ „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა მოსაზრება, რომ „ივანიშვილმა ფულით გარყვნა პოლიტიკური ელიტა და სრულიად მოკლა საექსპერტო საზოგადოება“. თქვენ, როგორც დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი, როგორ შეაფასებდით ვიცე-სპიკერ ვეფხვაძის მოსაზრებას?**

— უპირველეს ყოვლისა, მე ეს ფრაზა მესმის, როგორც ბატონ ვეფხვაძის უკიდურესი გულწრფელობა და თვითკრიტიკა. საქართველოში პოლიტიკური ელიტად მას ეგულება „ნაცმოძრაობა“ და „ქრისტიან-დემკრატიული მოძრაობა“. ქდმ-ს პოლიტიკური გუნდი პოლიტიკურ ელიტად სხვას არავის მიიჩნევს. თუ ამ ორი პარტიის სახით წარმოდგენილი პოლიტიკური ელიტა ცდილობს, თავისი შესაძლებლობებით დაეწიოს ბიძინა ივანიშვილს, რასაკვირველია ის საკუთარ თავს რყვნის. რაც უფრო მალე შეჩერდებიან ამ გზაზე, უმჯობესი იქნება, როგორც საკუთრივ მათთვის, ისე — ქვეყნისთვის.

რაც შეეხება ივანიშვილის მიერ საექსპერტო საზოგადოების „მოკვლას“. ვეცდები, მოვასმენინო ბატონ ვეფხვაძეს „ხმა სამარიდან“, ანუ, 7 მაისს ვიწვევ „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ შრომათა კრებულის“ პრეზენტაციაზე, რომელსაც სახელად „საქართველოს დემოკრატიზაციის გზამკვლევი“ ჰქვია. თუ მას თავად დემოკრატია ეგულება მიცვალებულად, იქნებ თავადაც გამოთქვას სამძიმარი და ამ ნაშრომთა განხილვაში მიიღოს მონაწილეობა და დაგვარწმუნოს, რომ ძალუძს, პოლიტიკურ ელიტაში დარჩენა.

**— „ქართული ოცნების“ იურისტის ზაქარია ქუცნაშვილის ინფორმაციით, ყოვნდება მათ მიერ ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენის საკითხზე შეტანილი სარჩელის განხილვა და პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ რეგისტრაცია. თქვენი აზრით, რა ხდება? უფრო სწორად ამ პასუხგაუცემელ კითხვებზე როგორი იქნება ხელისუფლების პასუხი?**

— ჩემი აზრით, დადგება დრო, როდესაც ხელისუფლება მიხვდება, რომ ის კოშმარულ სიზმარში კი არა, რეალობაშია. როდესაც ცუდ სიზმარს ხედავ, გამოფხიზლება, გამოღვიძება სულის მოთქმაა. ის, რაც ხდება, ხელისუფლებას ურჩევნია, წარმოიდგინოს როგორც სიზმარი, არარეალობა და იქონიოს იმედი, რომ გაახელს თვალს და ეს ყველაფერი აღარ იქნება. ხელისუფლება რაც უფრო ადრე გამოფხიზლდება და შეეცდება ღირსების დაბრუნებას, ეს ქვეყნისთვის და „ნაცმოძრაობის“ ლიდერებისთვის უმჯობესი იქნება. სრულიად მკაფიოა, რომ სახელმწიფო მართვის საჯარო პარადოქსების პროცესში ვიმყოფებით. შესაძლოა, ამგვარ პარადოქსებს ზოგმა მარაზმიც უწოდოს. ნებისმიერ შემთხვევაში ქვეყნის ავტორიტეტი ძალიან შებღალულია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ახლა შველა უნდა თავად სახელს ქვეყნისას, რომელსაც საქართველო ჰქვია.

**— აქტუალურ თემად იქცა, მისცემს თუ არა ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კომპანიის ფარგლებში ახალი ეტაპის დასაწყებად რომელიმე სტადიონზე მასშტაბური ღონისძიების ჩატარების უფლებას. თინა ხიდაშელის თქმით, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ცივილიზებული ფორმით ურთიერთობას სთავაზობს“. თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ხელისუფლების საპასუხო ნაბიჯი?**

— ცივილიზებული ფორმით თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ ცივილიზებული მხარეებისთვის. ჯერჯერობით ხელისუფლებას ოპონენტებთან ცივილიზებული ფორმით ურთიერთობისადმი გამჟღავნებულ რაიმე სიმპათიას ვერ ვატყობ. ის არსენალი, რომელსაც იგი იყენებს სხვაგვარად მოაზროვნე პოლიტიკოსთა, პოლიტიკურ ძალთა თუ უბრალო მოქალაქეთა მიმართ, არ მაძლევს საშუალებას ვიფიქრო, რომ რაიმე ადეკვატურ, ზომიერ გამოსავალს იპოვიან. სხვა თუ არაფერი, იქნებ ხელისუფლებამ „ქართულ ოცნებას“ რუსთავში ახალგახსნილი მოტორბოლების ველი დაუთმოს. ერთადერთი ობიექტი, სადაც შეიძლება ბევრი ხალხი დაეტიოს, ორიოდე დღის წინათ გახსნილი მოტორბოლების ველია, რომელსაც რემონტი არ სჭირდება. შესაძლოა, შემომედავონ, რომ სააკაშვილის მიერ გახსნილ ობიექტებს არსებობის გაგრძელება მშენებლობის დასრულების რეჟიმში უწევთ. ასეა თუ ისე, არა ერთი ისტორიული ველია ქართველთა გამარჯვებისა და „ქართული ოცნების“ შეკრება მაინც შედგება. უბრალოდ, შერცხვენილები დარჩებიან ის ადამიანები, რომლებიც ცოდვა-ტირილს დაიწყებენ იმის გამო, რომ მესხისა და პაიჭაძის სტადიონი რემონტდება, მაინცადამაინც იმ დღეებში ქუჩებში წყალგაყვანილობები უნდა იქნას გაყვანილი. თავს მასხრად იგდებენ, მაგრამ სამწუხაროა, რომ ასეთ ვითარებაში ჩვენი ქვეყანაც დედამიწაზე მასხარად გამოიყურება.

**კობა ბენდელიანი**

## ინფორმაცია

### ცენტრალურ გამზირებზე მიკროავტობუსები ტრამვაის ხაზის ამუშავებამდე იმოძრავებენ

**რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებზე მიკროავტობუსები ტრამვაის ხაზის ექსპლუატაციაში შესვლამდე იმოძრავებენ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის სამსახურის უფროსმა აკაკი ჯოხაძემ განუცხადა.**

**მისი თქმით, ტრამვაის ხაზის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, თბილისის მერია ცენტრალურ გამზირებზე სამარშრუტო ტაქსების განრიგსა და მიმართულებებს თავიდან გადახედავს.**

**რუსთაველის გამზირზე სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა აღდგა. ამასთან, ახალ ყვითელ სამარშრუტო ტაქსებში, რომლებიც რუსთაველის გამზირზე იმოძრავებენ, გაკონტროლდება ფეხზე მდგომ მგზავრთა რაოდენობა. მათი რიცხვი არაუმეტეს 5 ადამიანით განისაზღვრება.**

**„ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ქალაქის ცენტრალურ გამზირზე სამარშრუტო ტაქსები მხოლოდ ავტობუსების გაჩერებებზე გაჩერდებიან, რაც ხელს შეუწყობს თავიდან ტრანსპორტის ქაოტური გადაადგილების თავიდან აცილებას“, — აცხადებენ მერიაში. გარდა ამისა, სამარშრუტო ხაზები მოძრაობას დაიწყებენ ჭავჭავაძის გამზირზეც, რაც, როგორც მერიაში მიიჩნევენ, ვაკე-საბურთალოს მიმართულებით მოსახლეობის გადაადგილებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.**



ინტერპრესი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №190



# მოგონებათა ფრაგმენტები

პაპაჩემისგან გაგონილი მქონდა, რომ მისმა მამამ – **ნიკო ბაგრატიონმა** – დასაფლავება თავის საგვარეულო მამულში (მაშინდელი გორის მაზრის, ამჟამად კი ქარელის ადმინისტრაციული რაიონის სოფელ აბანოში), ვენახის თავში დაიბარა.

1968 წლის ზაფხულს გეოლოგიური, საველე ექსპედიციის მარშრუტები შიდა ქართლის სხვადასხვა ადგილებში გვქონდა და ერთხელაც, როდესაც იმ სოფლიდან შედარებით ახლოს ვიყავით, ეს ამბავი გავიხსენე. კოლეგა და მეგობარი,ჩემს მოგონებებში სამუდამოდ,ნათელ კაცად დარჩენილი ჯანიკო გიორგაძე მაშინვე აენთო – როგორ შეიძლება ასე ახლოს ვიყოთ და იქ არ მივიდეთო. მათი შეწუხება მომერიდა... ძნელი მარშრუტის შემდეგ ყველა დაღლილები ვიყავით და ერთი სული გვქონდა სახლისაკენ გვექნა პირი. ბევრს ვეცადე გადამეთქმევინებინა, მაგრამ ჯანოს ემოციების დაოკება შეუძლებელი გახდა. მას **ნოდარ ცერცვაძემაც** აუბა მხარი...

(ნოდარ ცერცვაძეს საოცარი უნარი ჰქონდა საველე პირობებში ადამიანთა ჯგუფის, თუნდაც იგი ბოშათა ბანაკის მსგავსი ხმაურიანი და მრავალფეროვანი იყოს, საერთო თანაცხოვრების ჩარჩოებში მოქცევისა, მათი ყოფითი თუ სამსახურებრივი პირობების უზრუნველყოფისა. არადა, მისი საზაფხულო ექსპედიციების შემადგენლობა ყოველთვის „ჭრელი“ იყო – გარდა ექსპედიციის უშუალო თანამშრომლებისა, იქ თითქმის ყოველთვის იყვნენ ხოლმე მათი ოჯახის წევრებიც. ბევრი მათგანისათვის ექსპედიციაში მონაწილეობა ხშირად ერთადერთი საშუალება იყო ზაფხულში ბავშვების ქალაქიდან გაყვანისა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტუმარ-მასპინძლობით ცნობილი ცერცვაძე-ხოშტარიას ოჯახი ბევრისთვის „გზიდან გადახვევის“ სასურველი საბაბი და მიმზიდველი,ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ობიექტი იყო)...

**და, მიუხედავად მოსალოდნელი შეფერხებებისა თუ გვიანი ხანისა, გავწიეთ სოფლისაკენ. იქ ჯანომ მაშინვე მოძებნა შედარებით ხანშიშესული კაცი და იმანაც ზუსტად ჩემი დიდი პაპის საფლავთან მიგვიყვანა. ვაზს სიმინდი ჩანაცვლებოდა, ნათესი საფლავამდის კი იყო მისული, მაგრამ ძველებური, ქართული საფლავის ქვა, შესაბამისი წარწერით, შემორჩენილი დაგვხდა. ემოციური განწყობა დაგვეუფლა, ცოტა ხანს დავყავით, ჩვენს გზამკვლელს გამოველაპარაკეთ და, რადგან საკმაოდ გვიანი იყო, ჩვენმა მანქანამ „სახლისაკენ“ აიღო გეზი. ამ ეპიზოდმა, ყოველივე ტრადიციულის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარე ჯანოს სულში, როგორც ჩანს, გარკვეული კვალი დატოვა, რამაც შემდგომ ჰპოვა კიდეც ასახვა ერთ მის ლექსში – „აქ იყო სახლი“...**

* * *

1938 წლის ზამთრის სუსხიანი დღეა, ნავთლუღის სადგურს საცაა დახურულვაგონებიანი მატარებელი დასტოვებს. იგი სხვათაგან საბედისწერო ნიშნით არის გამორჩეული – მას უცნობი შორეთისაკენ მიჰყავს უსამართლობით გულდამწვარი და მომავლის გაურკვევლობისაგან შეძრწუნებული უამრავი ქართველი ქალი, რომელთა „დანაშაული“ მხოლოდ ისაა, რომ მათი მეუღლეები თურმე „ხალხის მტრები“ ყოფილან, „ეტაპის“ გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ამ ამბავმა როგორღაც გარეთ გამოჟონა და ვინც დროულად შეიტყო, მოვიდა, რომ გამოსთხოვებოდა თავის დედას, ქალიშვილს, დას, მატარებელი მალე გზას გაუდგება და ასობით ოჯახის ცხოვრებაში გაატარებს ტრაგიკულ მიჯნას – მის ერთ მხარეს აღმოჩნდებიან შვილებს წართმეული დედები, მეორე მხარეს კი – დედებს წართმეული შვილები. ეს ბოლო წუთებიც ტრაგიზმით არის დამუხტული – პატარა სარკმლებსა თუ ჭუჭრუტანებს მისეული ქალები ცდილობენ უკანასკნელი მზერა მოავლონ აქაურობას, ან იქნებ ახლობელს ვინმეს მოჰკრან თვალი, გარეთ მყოფნი უარეს მდგომარეობაში არიან – არავინ იცის სად ეძიოს თავისიანი, ან წამოღებული სურსათ-ტანსაცმლის გადაცემა როგორ მოახერხოს... დაძრწიან, ვერ ისვენებენ, თვალების ტკივილამდე მისჩერებიან ვაგონებს, ნერვიული დაძაბულობა აპოგეას აღწევს...

დედას მუშტით ჩაუმტვრევია სარკმლის მინა და ასე გადმოუგდიათ ქალებს წერილები გარეთ, ჩვენ დღესაც ვინახავთ დროისაგან გახუნებულ ამ ბარათს, რომელზედაც ფანქრის გაფერმკრთალებულ კვალს ჯერ კიდევ აქვს შემონახული სულის შემძრავი დედისეული გოდება!

„ჩემო მამა, მე მივდივარ, დეიდა ლიზაც... ჩემთან არიან თითქმის სუყველა ცოლები, თქვენი ჯავრი მკლავს, ნიკოს ამბავი გავიგე, ნახეს მისჯილებთან ციხეში, მაგრამ რამდენი აქვს, არ ვიცი,

**მამა, მარგო ჯინჭარაძე ნახე, როგორც გიჯობდეს, ისე მოიქეცი, ბავშვები მშივრები არ დამეხოცოს, გაყიდე ყველაფერი. მარინამ მუსიკა მიატოვოს, გაუძნელდება, ჩასვლისთანავე მოვიწერები, კარგად ისწავლონ. ილამაზიკო მანდვე...** ხელნაწერი აღარ იკითხება. და ბოლოს მინაწერი –

**ჩემი სული და ჩემი ბავშვები,“**

მიაქციეთ ყურადღება – მამისათვის ვერაფერს იმეტებს, ვერ იმეტებს იმიტომ, რომ მამა ეს არის ბოლო იმედი, კლდე, რომელიც არ შეიძლება შეტოკდეს, არ შეიძლება არ შეძლოს შეუძლებელი იმიტომ, რომ მას უზარებს თავის სულსა და... თავის შვილებს, ამ იმედის მხრიდან ღალატი დაუშვებელია, წარმოუდგენელი, ეს არ შეიძლება, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს, მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, დაუსრულებელი „ეტაპით“ ბანაკში ჩასულს, სადაც შრომისაგან ძალაგამოცლილი ქალები ძილს ორიოდე წუთს თუ მოჰპარავდნენხოლმე მწარე ფიქრებისათვის, გაიელვებს შემაძრწუნებელი შიში: კი, როგორ... როგორ უნდა მოუაროს ქვრივმა მამაკაცმა სამ ბავშვს, როგორ უნდა გადაარჩინოს მათი სიცოცხლე... ისევე, როგორც ბევრისათვის, სწორედ ასე იდგა მაშინ ეს საკითხი ჩვენთვისაც.

„ბაგრატიონთა გაუტეხელი სული გვარით მოსდგამდა და ამან გააძლებინა, ალბათ, დაუძლეველი რვა წლიწადი შორეული ჩრდილოეთის ბანაკებში“... იმათთვის, ვისაც ძნელად წარმოუდგენიათ თუ რა ჯოჯოხეთური წლები გაატარეს ქართველმა ქალებმა გადასახლებაში, მინდა პატარა ნაწყვეტი მოვიტანო ქ-ნ ვერა გვანცელაძე-ჯიქიას მოგონებებიდან. თუნდაც, იმიტომ, რომ ამ ტკივილის დავიწყება, გაფერმკრთალება არ შეიძლება. ეს იქნება დანაშაული იმათ წინაშე, ვინც ეს ჯოჯოხეთი გამოიარა.

...„ფეხით უნდა გაგვევლო 80 კილომეტრი. ჩვენი მიწერილობის ადგილს კოჩმესი ერქვა და ეს გზა ორ დღეში უნდა დაგვეფარა. ირგვლივ მოგვყვებოდა შეიარაღებული დაცვა, ძაღლებით. ან კი რა დაცვა გვჭირდებოდა. კიდეც რომ ცდილიყო, ვინ გააღწევდა ამ თოვლსა და ყინვაში უღრანი ტყიდან. ზაფხულში კი ჭაობებს ვინ გადაურჩებოდა! უკან მოგვყვებოდა ორცხენშებმული „დროგი“, ჩვენი ბარგით დატვირთული. მივდიოდით ტყით, ხელში დიდი ჯოხები გვეჭირა. გავიარეთ დაახლოებით ნახევარი გზა და ლუბა ქებაძე, რომელიც ჩემს გვერდით მოდიოდა, წაიქცა.

წამოვაყენე, ამოვუდექი მხარში და გაჭირვებით წავლასლასდით. მე ძალა მელეოდა და ცოტა ხნის შემდეგ ორივენი წავიქეცით. სიარული რომ ვეღარ შევძელი, მიიღეს მოწყალება და „დროგზე“ დაგვსვეს. რა დამავიწყებს შესანიშნავი ადამიანისა და ულამაზესი ქალის – თამარ ბაგრატიონ-მიწიშვილის გაწამებულ თვალებს: ნეტავი თქვენო, – შემოგვნატროდა. ვხვდებოდით, იგი ფიზიკურად ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა და სხვებთან ერთად გაჭირვებით განაგრძობდა გზას. ამ გზაზე კი ხშირად ეცემოდნენ ძალაგამოლეული ქალები, ეცემოდნენ და დგებოდნენ, ვინაიდან თავის გადარჩენის სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ. მცველები ნერვიულობდნენ, ყვიროდნენ, ძაღლები ყეფდნენ... ყინვა ძლიერდებოდა... ბინდდებოდა... ღამის სათევ პუნქტამდე კი კარგა ძალი იყო დარჩენილი“...

ეს – გოლგოთისაკენ გზის შესახებ, ახლა ვნახოთ რა ჯოჯოხეთი იყო გამეფებული თავად ბანაკში: „ბანაკის ტერიტორია დაფარული იყო ქვიშით, ზონის გადაღმა კი ხშირი ნაძვნარი ჩანდა. გაზაფხულზე ზონის საზღვარზე მავთულხლართთან ბალახი ამოვიდა. ბუდუ მდივნის ქალიშვილმა შეჰხარა მწვანე ბალახს, ზონიდან გავიდა და სიმწვანეში გაიქცა... ბალახში გარბოდა... გუშაგის შეძახილი და გაფრთხილება არ ესმოდა და როცა ბალახის მოსაპუტად წაიხარა, ესროლეს. მოკლეს.“...

* * *

აქ დარჩენილებიც ვებრძოდით ცხოვრების სიდუხჭირეს. ომისდროინდელ გაჭირვებას, შიმშილსა და სიცივეს. ეს ჩვენ იმანაც შეგვაძლებინა, რომ არცთუ ცოტა იყო ჩვენს ირგვლივ ნათესავთა, მეზობელთა და მეგობართა შორის ისეთი, ვისაც არ დაუვიწყებენ ჩვენისთანა ბედისანი უანგარო დახმარებას, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოჯახთა ახლობლების თავდადება. უმეტეს შემთხვევაში მათი ამბავი შეუფასებელია. **აბა, მიიკითხმოიკითხეთ, ირგვლივ, რამდენმა დამ, დეიდამ, მამიდამ თქვა უარი თავისი პირადი ცხოვრების მოწყობაზე იმისთვის, რომ უმშობლებო ბავშვებისთვის ეპატრონა. რამდენმა დედამ, ბებიამ და ბაბუამ შეძლო შეუძლებელი... ერთი ან ორი რომ ყოფილიყო, გმირობად ჩაითვლებოდა მათი საქციელი, მაგრამ ბევრნი იყვნენ და თითქოს ჩვეულებრივ საქმეს აკეთებდნენ. სამაგიეროდ, მთელი თაობა შეუნარჩუნეს ქართველ ხალხს და ამ გადარჩენილთა სულებში მარად ანთია მადლიერების ჩაუქრობელი სანთელი მათი ხსოვნისა...**

ერთი ასეთი სანთელი ჩვენს სულებში ჩვენი პაპის **კოტე ბაგრატიონისთვისაც** ანთია. ის თუმცა საშუალო სიმაღლისა იყო, მაინც მისი გამორჩევა ათას კაცშიც კი შეიძლებოდა. არწივისებური გამოხედვითა და მამაპაპური ულვაშებით შემკულ პაპაჩემის თავს გვირგვინივით ამშვენებდა მუდამ ფაფახი... იგი ძველი ყაიდის იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, ბოლომდე რომ არ უღალატეს „აზიაცკებს“. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მუდამ წელგამართულს, თავიც ყოველთვის ზეამართული ეჭირა, ზოგად წარმოდგენას შეგიქმნით მის გარეგნობაზე: თავშეკავებული, უზადოდ დარბაისელი, საღი გონებითა და ნიჭით დაჯილდოებული და, რაც მთავარია, თავდადების გაუზომავ-აუწონავი თვისების მატარებელი. ეს მისი სულიერი სახის მხოლოდ ზერელე სურათია...



ამ სურათს ასე დავარქვი: კოტე პაპა ქეიფობს

ჩვენი დედ-მამის რეპრესიებამდე, რამდენიმე წლის წინათ დაქვრივებულ პაპას უფროსი ქალიშვილის იმედი რომ ჰქონდა სიბერეში, მისი ოჯახის ასე ერთი ხელის მოსმით დანგრევის შემდეგ, სამი მოზარდი დარჩა მოსავლელ-გადასარჩენი: მე ექვსი წლისა, ჩემი და სამი წლისა, უმცროსი დეიდა, რომელიც დიდედის ოლღა ამირეჯიბის გარდაცვალების შემდეგ ჩვენთან ცხოვრობდა, 14 წლისა...

თუ რა ძალად უჯდებოდა პაპას ცხოვრებისეული ჭაპანის ჩაუმუხლავად წევა, მაშინ გამოჩნდა, დედა გადასახლებიდან რომ დაბრუნდა და ჩვენი თავი მას გადააბარა, თითქოს რაღაც არტახები მოეშვაო, თანდათან დასუსტდა, ავადმყოფობაც მიეძალა და სამიოდ წელიწადში გარდაიცვალა. განგებამ თითქოს აკმარა ცხოვრებისეული ჭირ-ვარამი და სანატრელი აღსასრული არგუნა – ბალიშებზე მაღლად მიწოლილს, ხელი პერანგის საკინძეში ჩაედო და ძილში, უშფოთველად გასცლოდა ამქვეყანას... სწორედ იმ საღამოს მისმა ვაჟმა – **ჯანო ბაგრატიონმა** თავისი ცხოვრების დაბრკოლებებით აღსავსე, ეკალ-ბარდიან გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღიარება იზეიმა


დედაჩემი თამარ ბაგრატიონი

# მოგონებათა ფრაგმენტები

– მის მიერ ჩამოყალიბებული პირველი ქართული საესტრადო ანსამბლის პრემიერა შედგა. ასე რომ, შვილის ამ გამარჯვებით გახარება პაპამ ვეღარ მოასწრო.

ამის შემდეგაც არ გამოგვლევია მძიმე წლები, მაგრამ ჩვენ უკვე დედასთან ერთად ვიყავით, ნათესაობასთან ყოველთვის საოცრად მჭიდრო ახლობლობა გვქონდა და, ალბათ, ესეც იყო განმაპირობებელი იმისა, რომ იმ უკეთესობის იმედი გვასულდგმულებდა. ასე, შრომასა და სწავლაში, გავიდა წლები...

დღეს დეიდაჩემი **ნატო ბაგრატიონ-ღვაბერიძისა** სამი შვილის დედაა, შვიდი შვილიშვილის ბებია და სამი შვილთაშვილის დიდი ბებია. ჩემი და – **მარინა მიწიშვილი,** პროფესიით არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1989 წელს. მე სპეციალობით გეოლოგი ვარ. მყავს ორი შვილი, ვაჟს მამაჩემის სახელი ჰქვია და იგი ექიმია, მედიცინის ერთ-ერთი ურთულესი დარგის ანესთეზიოლოგიის მაღალი კლასის სპეციალისტი. ქალიშვილი **ნინო** და სიძე **ბუბა კუდავა** ისტორიკოსები არიან. ნინოს ანტიკური პერიოდის ისტორიის ზოგადი საკითხები უფრო აინტერესებს, ბუბას კი პრაქტიკული მოღვაწეობა. სტუდენტობის დროიდან ის არის დამფუძნებელი საისტორიო მეცნიერული ჟურნალისა „არტანუჯი“. არის აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგი, აქტიურად მონაწილეობს ექსპედიციებში, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. გატაცებულია ფოტოხელოვნებით, უკვე მოეწყო მისი ფოტოსურათების გამოფენები. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად გამოფენას, რომელიც ძირძველ ქართულ მიწაზე – შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში ახალგაზრდა ისტორიკოსთა ექსპედიციის შედეგებს ასახავს. ამჟამად ბუბა კუდავა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორია.

ასე გავიდა ჩვენი ცხოვრება და ასე მოვედით დღევანდელ დღემდე... მძიმე იყო წარსული, ძნელად მოსაგონარი, მაგრამ იმ წლებში ახლობელი, ერთგული ადამიანებისგან მიღებული სიკეთე დღემდე გვათბობს და სამომავლო საყრდენებს და ძალებს გვმატებს... რაც იყო, იყო... მაგრამ წარსულის არც ერთი დღე არ მემეტება დასავიწყებისთვის...

**ილამაზ მიწიშვილი**


პაპა კოტე ბაგრატიონი

# ნაწილის და მთელის ჰარმონიისთვის

**– „თავადო, მოგწონთ ჩემი ხანჯალი? პატივი დამდეთ და ინებეთ...“ თავადმა ციციშვილმა ქამარ-ხანჯალი შეიხსნა და მისით აღტაცებულ მოსაუბრეს ღირსებით სავსე ღიმილით გაუწოდა“...**

ეს ამონარიდი ძველი ქართული ფოლკლორიდან უნებურად მომაგონდა ბატონ **ოთარ ფანასკერტელ-ციციშვილის** ნამუშევრების ექსპოზიციის გახსნის დღეს, როცა ავტორი ამ გამოფენის ექსპონატებს, მრავალი წლის რუდუნებით შექმნილ ორიგინალურ კოლაჟებს უშურველად სთავაზობდა ნაცნობმეგობრებს. ასე იყო მაშინაც, როცა მის ერთ-ერთ გამოფენაზე, რომელშიც ირმა ნიორაძისადმი მიძღვნილი 30 კოლაჟი იყო ექსპონირებული, ბატონმა ოთარმა მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოფრენილ ცნობილ ბალერინას მთელი ეს კოლექცია საჩუქრად გადასცა...



კოლაჟის ხელოვნების დაარსებიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა დროშია შესაძლებელი გაკეთდეს არა მარტო ესთეტიკური, არამედ კონცეპტუალურად თანამედროვე სანახაობა, საკუთარი დროის ნიშნებით.



ბატონი ოთარ ციციშვილი კულტუროლოგია. კარგად იცნობს მსოფლიო ხელოვნების ისტორიას, ლიტერატურას. მისი ინტელექტუალური ძიებები ყოველთვის შესაბამისობაშია მხატვრულ გემოვნებასთან და იმ სულისკვეთებასთან, რასაც ეროვნულ ფასეულობებთან დამოკიდებულება განსაზღვრავს.

2 მაისს თბილისის ებრაელთა სახლმა, ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, სამ თბილისელ მხატვარს – **ოთარ ციციშვილს, მიხეილ იაშვილს** და **ზურაბ აიდელმანს** უმასპინძლა. გამოფენას კურირებდა აკადემიკოსი **გურამ პაატაშვილი,** რომელმაც აღნიშნა, რომ ეს სახლი მუდამ მზად არის შეხვდეს ხელოვანთ და ხელოვნების დამფასებლებს. სწორედ ბატონი გურამის ხელმძღვანელობით და პირადი კონტაქტებით აქ ხშირად ეწყობა გამოფენები, შემოქმედებითი საღამოები.

„ოთარ ციციშვილი ჩემი ძალიან დიდი ხნის მეგობარია, – თქვა ბატონმა გურამმა,– იგი ბუნებით შემოქმედი ადამიანია, აქვს ამოუწურავი ფანტაზია და სიახლის ძიების უნარი. მის ნამუშევრებში კარგად ჩანს ინტელექტიც და უზადო გემოვნებაც.“

ოთარ ციციშვილის ნამუშევრების ძირითადი ნაწილი გახლავთ არა მხოლოდ სხვადასხვა ფაქტურის (ფოტოები, რეპროდუქციები), ფერის თუ ფორმის წარმატებული სინთეზი, არამედ მცდელობა შეაერთოს და ერთ მთლიანობაში მოაქციოს სხვადასხვა ეპოქის და თუნდაც განსხვავებული სტილის ელემენტები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფონს და თითოეული დეტალის ზუსტ განლაგებას კომპოზიციაში.

ბატონი ოთარის აზრით, დამოუკიდებელი დეტალების ჰარმონიულ გრძნობას და განლაგებას ერწყმის და ექვემდებარება ყველაფერი – ლიტერატურაც, მუსიკაც, სახვითი ხელოვნებაც... იქნებ საერთოდ ცხოვრებაც....

ბატონ ოთარ ციციშვილს განსაკუთრებით ეძვირფასება საკუთარი გენეალოგია, ისტორიული რეალიები...მხურვალე დამცველია მონარქიული იდეის რესტავრაციისა ჩვენს სამშობლოში და თანამედროვე ძნელბედობის ფონზე ერთადერთ გამოსავლად მხოლოდ და მხოლოდ ეს მიაჩნია. თვლის, რომ ვაჟაფშაველას განმარტების თანახმად, ნაციონალიზმიც და კოსმოპოლიტიზმით ერთ სივრცეში ჰარმონიულად შეიძლება არსებობდეს, ეროვნული იდეების გათვალისწინებით.

„კვირაძალის საკითხავში“ გთავაზობთ ოთარ ფანასკერტელ-ციციშვილის კოლაჟებს,მისივე საგვარეულო ღერბს და შემოქმედებით წარმატებებთან ერთად,პოლიტიკური იდეალების გამართლებასაც ვუსურვებთ.

**სურათებზე: ოთარ ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ შესრულებული კოლაჟები.**



**საგამოფენო სივრცე**

# ქართულ-უკრაინული თოჯინური სამყარო

**ცოტა ხნის წინათ არქეოლოგებმა ერთ-ერთი საფლავის გათხრისას შუამდინარეთის ტერიტორიაზე მსოფლიოში უძველესი თოჯინა აღმოაჩინეს, რომელიც ჩ. წ. ა. III ათასწლეულის შუა ხანებით დაათარიღეს!**

დღესდღეობით დანამდვილებით ვერავინ იტყვის, თუ ვინ და როდის შექმნა პირველი თოჯინა, მაგრამ ფაქტია, რომ თოჯინები ყველა რასისა და ერის ხალხში იყო გავრცელებული. ეს ტრადიცია ამჟამადაც ცოცხლობს და ახალი სტიმულებითაც საზრდოობს.

ბუნებრივია, რომ სხვადასხვა სახეობის თოჯინა უხსოვარი დროიდან საქართველოშიც იყო გავრცელებული. გარდა ბავშვთა სათამაშოსი, მას ხშირად კიდევ გარკვეული რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა და ამა თუ იმ წეს-ჩვეულების შესრულებისას იყენებდნენ. თოჯინებს საქართველოში ხან გამრავლებას, ხან სასურველ ამინდს (ნალექს, ან, პირიქით, დარს) შესთხოვდნენ ხოლმე. ასეთ თოჯინებს, ანუ „დედოფალებს“ სხვადასხვა სახელებს – ხან გონჯას, ხან საწვიმარას, ხან ლამარიასა და კიდევ ვინ მოთვლის რასა და რას არქმევდნენ. გარდა ამისა, არსებობდა, ასე ვთქვათ, „სამეურნეო დანიშნულების“ დამცავი საფრთხობელები, რომლებსაც, მაგალითად, ქართლში „ბოსტნის დედოფალას“, კახეთში – „ბოსტნის კუკს“, ფშავში – „ნათესების მწყემსს“, ტაო-კლარჯეთში – „დათვოულას“ და ა. შ. უწოდებდნენ.

მოკლედ, თოჯინების სამყარო ძალიან დიდი და, რაც მთავარია, უაღრესად საინტერესო, შემეცნებითი და მიმზიდველია. ამიტომაც არ არის გასაკვირი ის დიდი ინტერესი, რომელიც თბილისელებმა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში 2 მაისს საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ქართული და უკრაინული ხელნაკეთი თოჯინების გამოფენისადმი გამოიჩინეს. მასში მონაწილეობა მიიღო ორმოცდასამმა უკრაინელმა და ორმოცდაექვსმა ქართველმა თვითნასწავლმა მეთოჯინემ. ხალხურმა ხელოსნებმა სხვადასხვა თოჯინა ცვილისგან, ფაიფურისგან, თიხისგან, ხისგან და სხვა მასალისგან დაამზადეს და, რაც საგულისხმოა, ისინი ერთმანეთისგან „დანიშნულებითაც“ განსხვავდებიან: გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რბილი, ეთნოგრაფიული, გონჯა, მარიონეტი, ასევე ორიგინალური ჟანრის უამრავი თოჯინა.

ცალკეა აღსანიშნავი, რომ უკრაინელმა ხელოსნებმა საგანგებოდ თბილისური ვერნისაჟისთვის თოჯინები ქართული ფოლკლორის მოტივებზეც შექმნეს, მათ შორის „გააცოცხლეს“ ნიკო ფიროსმანის ნახატების პერსონაჟები, სხვადასხვა კუთხის სამოსელში ჩაცმული გოგო-ბიჭები და სხვა.



გარდა ამისა, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გამართულ გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო უკრაინული ეროვნული ნაქარგები და ეროვნული კოსტიუმები.



აღსანიშნავია, აგრეთვე უკრაინაში თოჯინების დამზადების დიდი ხნის ისტორია, რასაც ნათლად მეტყველებს კიევის ხალხური თოჯინების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია, სადაც დიდი საგანმანათლებლო და სასწავლო მუშაობა მიმდინარეობს და მრავალი უნიკალური ექსპონატია დაცული.



გუშინ უკრაინელმა ოსტატებმა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ყველა მსურველისთვის მასტერკლასები გამართეს, რომლებზეც დასწრება თავისუფალი იყო. უკრაინული თოჯინების გამოფენა ორშაბათამდე გასტანს, ქართული თოჯინების ექსპოზიციის დათვალიერება კი მსურველებს 3 ივნისამდე შეეძლებათ.

**დალი ხუნდაძე,**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო ჩრდილოეთ კავკასიას მიხედავს

ოთხშაბათს საქართველოს პარლამენტში განსახილველად შევიდა პროექტი „ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან დამოკიდებულების სახელმწიფო სტრატეგია“. დოკუმენტი რუსეთს „საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთავარ საფრთხეს“ უწოდებს, ხოლო ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან ურთიერთობას „ბუნებრივ პასუხს საქართველოს დამოუკიდებლობის რუსულ გამოწვევაზე“.

**თბილისი რუსეთის რესპუბლიკების მოსახლეობაზე შეფობას კისრულობს**

პროექტზე — „ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან დამოკიდებულების სახელმწიფო სტრატეგია“ — საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და ჩრდილოეთი კავკასიის საკითხების კომიტეტი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავისუფალ კავკასიასთან“ და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან ერთად მუშაობდა ეროვნული უშიშროების კონცეფციის დებულების გათვალისწინებით, რომელიც შარშან წლის ბოლოს დაამტკიცეს. დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ საქართველოს და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებს შორის „პოლიტიკური, სოციალური და კულტურული კავშირების ათასწლეულებს“. მათი სიტყვებით, „საქართველო დაინტერესებულია ჩრდილოეთი კავკასიის სტაბილურობით, უშიშროებითა და ეკონომიური განვითარებით“ თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით თბილისს განზრახული აქვს დაეხმაროს ჩრდილოეთი კავკასიის მცხოვრებლებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვაში.

ამის აუცილებლობა, თბილისის აზრით, არსებობს რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით ამ რეგიონში. პროექტის ავტორები გამოთქვამენ შეშფოთებას ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებში „ეთნიკურ და პოლიტიკურ ნიადაგზე დევნებისა და ადამიანთა გატაცების გამო“. „საქართველო დაეხმარება ჩრდილოეთი კავკასიის მცხოვრებლებს, დაიცვან თავიანთი უფლებები საერთაშორისო საზოგადოებრიობის ინფორმირების გზით და გახდება ღია მოედანი ჩრდილოეთი კავკასიის სამართალდამცველებისთვის“, — ნათქვამია დოკუმენტში.

თბილისს განზრახული აქვს



გადადგას რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯი. კერძოდ, ნავარაუდევია, გაუხსნან ჩრდილოეთი კავკასიის მცხოვრებლებს ყველა გზები დაუბრკოლებელი გადაადგილებისთვის ისლამის წმინდა ადგილებისკენ, აგრეთვე განავითაროს მეგობრული ურთიერთობანი, მოაწყოს საქართველოს ტერიტორიაზე ახალგაზრდობის საზაფხულო ბანაკები. ამას გარდა, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნება ჩრდილოეთი კავკასიის ენების შესწავლის კათედრები, მოწესრიგდება სტუდენტები მიღება და სწავლება სახელმწიფო ხარჯზე, ანდა ახალგაზრდების გაგზავნა საუკეთესო დასავლურ უნივერსიტეტებში.

როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, საქართველო დაეხმარება ჩრდილოეთი კავკასიის მეცნიერებს, „შეინარჩუნონ ეთნიკური იდენტურობა, გაიგონ სიმართლე თავიანთი ისტორიის შესახებ“ საქართველოს არქივების გახსნისა და ისტორიული დოკუმენტების ყოველმხრივი შესწავლის გზით „მრავალგზისი ეთნიკური წმენდებისა და გენოციდის შესახებ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში“, აგრეთვე სსრ კავშირის დაშლის შემდგომი მოვლენების შესახებ, მათ შორის, „მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი განადგურების შესახებ ორი ჩეჩნური ომის დროს“. პირველ ნაბიჯად ისტორიული მოვლენების დეტალური შესწავლისა და შეფასებისკენ დასახელებულია საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 20 მაისის რეზოლუცია „რუსეთის იმპერიის მიერ ჩეჩენი ხალხის გენოციდის“ აღიარების შესახებ.

ამავე დროს საქართველოში შეიქმნება განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობები და რეჟიმი ჩრდილოეთი კავკასიის ბიზნესმენებისთვის. საქართველოს შუამავლობით მათ შეეძლებათ, განავითარონ ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები გარესამყაროსთან და გამოიყენონ შესაძლებლობანი ქვეყნისა, როგორც რეგიონალური ცენტრისა.

სტრატეგიის ავტორებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ პარლამენტი მალე დაამტკიცებს დოკუმენტს, როგორც საფუძველს შემდგომი საკანონმდებლო აქტების მიღებისთვის. „დოკუმენტი, რომლის განხილვასაც ჩვენ ვიწყებთ, არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული, — დაგვარწმუნა პარლამენტის დიასპორისა და ჩრდილოეთი კავკასიის საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ნუგზარ წიკლაურმა. — მას აქვს მხოლოდ მშვიდობიანი, შემოქმედებითი მიმართულება. ხოლო თუ ვინმეს მიაჩნია, რომ მშვიდობიანი და აყვავებული ჩრდილოეთი კავკასია ზიანს აყენებს მათს ინტერესებს, ეს უკვე ჩვენი პრობლემა არ არის“.

Коммерсант

## დედამიწის ზურგზე

### საპრეზიდენტო რბოლაში ობამას მეტოქემ ბრალი დასდო თეთრ სახლს „სამარცხვინო საქციელში“ უსინათლო ჩინელ დისიდენტთან დაკავშირებით



მიტ რომნიმ თეთრი სახლის საქციელს უსინათლო ჩინელ დისიდენტ ჩენ გუანჩენთან დაკავშირებულ სიტუაციაში სამარცხვინო უწოდა. ჩინელმა მთელი რიგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკის საელჩომ პეკინში ფაქტობრივად აიძულა იგი, დაეტოვებინა დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობა, სადაც იგი იმალებოდა გამოქცევის შემდეგ. „თუ ეს ცნობები სიმართლეა, მაშინ ეს შავბნელი დღეა თავისუფლებისთვის“, — განაცხადა ობამას სავარაუდო მეტოქემ.

### პაკისტანში ბაზარზე თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა: დაიღუპა 10-ზე მეტი და დაშავდა 40 კაცი



ტერორისტული აქტი მოხდა ბაჯაურის ოლქში ავღანეთის საზღვართან. თვითმკვლელმა თავი აიფეთქა ქალაქ ტეხსილ ხარში, ქუჩის ბაზრის მახლობლად. ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ უკისრია პასუხისმგებლობა ამ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით.

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც გაუშვებს თანამგზავრებს, „აშშ-ის მტრული დამოკიდებულების მიუხედავად“



კომენტარში, რომელიც ჩრდილოეთი კორეის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა, აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იყენებს ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას, „ხელს უწყობს თანამგზავრებისა და ბალისტიკური რაკეტების გაშვებას მოკავშირე ქვეყნების მიერ და წინააღმდეგობას უწევს კოსმოსური ტექნოლოგიების განვითარებას ანტიიმპერიალისტურ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში“.

### მარსმავალმა მარსზე წყლის არსებობის ახალი დამოწმებანი აღმოაჩინა



როდესაც კრატერ ინდევორს სწავლობდა, აპარატმა აღმოაჩინა, რომ მეტეორიტის დარტყმამ, რამაც კრატერის წარმოქმნა გამოიწვია, გამოათავისუფლა მიწისქვეშა ცხელი წყლები, რომლებმაც გამოიწვიეს მთის ქანებში ცინკის წარმოქმნა. შემდეგ უკვე გაცივებულმა წყალმა დაიწყო გამოდინება კრატერის ნაწიბურიდან, დატოვა თაბაშირის მინერალური ძარღვები.

# კრემლის რამდენიმე მსხვერპლი

მაისის დღესასწაულების წინ უკანასკნელ სამუშაო დღეს დიმიტრი მედვედევმა გადააყენა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უცხოეთის ქვეყნებთან რეგიონთაშორისი და კულტურული კავშირების სამმართველოს ხელმძღვანელი სერგეი ვინოკუროვი. ამ თანამდებობაზე დაინიშნა ვლადიმირ ჩერნოვი, ვიცე-პრემიერ სერგეი ივანოვის სამდივნოს ყოფილი ხელმძღვანელი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელი. ვინოკუროვის მოადგილე ვლადიმირ გასუმიანოვი სახელმწიფო სამსახურიდან გაათავისუფლეს 2 მაისს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულებით. ჩინოვნიკების გათავისუფლება დაკავშირებულია ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებში ჩავარდნათა სერიებთან.

ამ ჩინოვნიკების მალე გათავისუფლების შესახებ ხმები დადიოდა ჯერ კიდევ ახალი წლის წინ. სწორედ ბატონები ვინოკუროვი და გასუმიანოვი კურირებდნენ არჩევნებს სამხრეთ ოსეთში, რომელიც ნოემბერში „კრემლის კანდიდატის“ ჩავარდნითა და ქუჩის მანიფესტაციებით დამთავრდა. ისინივე ცდილობდნენ დნესტრისპირეთის პრეზიდენტის პოსტზე სპიკერ კამინსკის დანიშვნასაც, რომელმაც გამანადგურებელი დამარცხება იწვნია. მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა მიეცა ჩინოვნიკებისთვის კიდევ ერთი შანსი: მათ დაევალათ განმეორებითი არჩევნები სამხრეთ ოსეთში, რომელიც, სამწუხაროდ, კვლავ „კრემლის კანდიდატების“ დამარცხებით დამთავრდა.



შეგახსენებთ, რომ შარშან ნოემბერში პრეზიდენტის არჩევნების შედეგები სამხრეთ ოსეთში ხელს არ აძლევდა კრემლს და გაუქმდა. ფაქტობრივად აღიარებულ პრეზიდენტთან ალა ჯიოევასთან ვინოკუროვის პირადი გარანტიით დაიდო შეთანხმება განმეორებითი არჩევნების შესახებ, რომელშიც ამ ქალბატონს არ შეეძლო მიეღო მონაწილეობა, ვინაიდან მისი შტაბის შტურმის შემდეგ იგი ადგილობრივმა ძალოვანებმა მოათავსეს საავადმყოფოში პატიმრის სახით. ჩვენი წყაროები ამტკიცებენ, რომ ჯიოევას იზოლაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო იგივე კრემლის კურატორების „ზემოქმედებით“.

ჩვენი თხოვნით ვინოკუროვის გადაყენებას კომენტარი გაუკეთა მისმა წინამორბედმა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის აპარატის უცხოეთის ქვეყნებთან რეგიონათშორისი და კულტურული კავშირების სამმართველოს ხელმძღვანელმა მოდესტ კოლეროვმა.

„ამ გადაყენების მიზეზი არის ის, რომ ვინოკუროვისა და მისი სამმართველოს (მე პასუხისმგებლობას ვერ მოვუხსნიდი სხვა ჩინოვნიკებსაცძ მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად წინასწარვე ჩასავარდნად განწირულ, სკანდალურ და ჩვენი ქვეყნისთვის სამარცხვინო არჩევნებში სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში ჩათრეული იყო რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობა. ეს ხალხი იბრძოდა კონტროლის იმ სქემის შენარჩუნებისთვის, რაც მათ ხელს აძლევდა რაღაც მიზნებში. რა მიზნებში? ძნელი სათქმელია. მაგრამ ამჟამად მიმდინარეობს ბროვცევის მთავრობის საქმიანობის შემოწმება და შემმოწმებლებს ბევრი შეკითხვები გაუჩნდათ“.

ჩვენი ექსპერტის აზრით, ვინოკუროვის ხელმძღვანელობით სამმართველოს არაკომპეტენტურმა საქმიანობამ მიგვიყვანა უამრავ ჩავარდნებთან სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებშიც. კერძოდ, ყირგიზეთში, ლატვიასა და დნესტრისპირეთში, სადაც ჩინოვნიკები შეეცადნენ, მიენიჭებინათ გამარჯვება ევგენი შევჩუკისთვის, თუმცა მუშაობდნენ შევჩუკის წინააღმდეგ და ცდილობდნენ, დახმარებოდნენ კამინსკის.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამმართველოში, სადაც 2 მაისს ელოდებოდნენ ახალი უფროსის წარდგენას, კომენტარზე უარი განაცხადეს. არ არის გამორიცხული, რომ გადაყენება ელოდება კიდევ ზოგიერთ თანამშრომელს.

Московский Комсомолец

მხოლოდ კეთილი გულით ნათქვამი

# პროვინციიდან დანახული ქართული მედიის პარადოქსები

## 8. რას ნიშნავს ორი თარიღი?!

**ჩემი პუბლიკაციის ეს თავი არც ქება და არც კრიტიკა. უბრალოდ, ცნობისმოყვარეობაა!**

პრესის სიძვირის გამო ყოველდღიურ გაზეთებს (თუ მოულოდნელად ვინმე სპონსორი არ გამომიჩნდა) ვერ ვიწერ. ამიტომ დაახლოებით 1977 წლიდან, რამდენიმე პერიოდული გამოცემა რომ არ მქონოდა გამოწერილი, არ მახსოვს (სამოქალაქო ომის წლების გამოკლებით). საჭმელს, სასმელს, ტანსაცმელს მოვიკლებ და ორ-სამს მაინც გამოვიწერ ხოლმე. რადგან ყოფილი სპონსორების უკვე მერიდება, და არც ჩემს მატერიალურ მდგომარეობას ეშველა მაინცდამაინც რამე, ახლა, ძირითადად, ყოველკვირეულ გამოცემებს ვიწერ.

რომ არ მომწონს ან არ მჭირდება, ისეთებს, ბუნებრივია, ხომ არ გამოვიწერ? ამდენად, მიუხედავად ამ თავის პირველივე წინადადებაში გაცხადებული პოზიციისა, მაინც უფრო ქება გამომდის! ცნობისმოყვარეობასთან ერთად, ცხადია!

რაც შეეხება ცნობისმოყვარეობას: ვერაფრით მივხვდი, რატომ აწერია ყოველკვირეულ გამოცემებს ორი თარიღი, მაგალითად, „16-22 (ან 18- 24 ) აპრილი"? რას უნდა ნიშნავდეს ეს? ერთი ჩემი ახლო მეგობარი თავის ერთ-ერთ წერილში წერდა: „მე თავი პროფესიონალ მკითხველად მიმაჩნიაო". მე, გარდა ამისა, ცოდვა გამხელილი ჯობს, ჟურნალისტიკაშიც მაქვს დაახლოებით მსგავსი პრეტენზია. მაგრამ არც ერთი და არც მეორე მეყო ამ, ასე ვთქვათ, რებუსის ამოსახსნელად.

მივყვეთ **ლოგიკას** (ჩემეულს, ცხადია):

**1)** პერიოდიკას, როგორც წესი, გამოსვლის (გამოცემის დღის) თარიღი აწერია. ამ შემთხვევაში (16-22) შვიდი დღის განმავლობაში გამოდიოდა?! არა, 16-ში მივიღე!

**2)** 16-დან 22 აპრილამდე მომხდარი ამბებია გაშუქებული? ამ შემთხვევაში მართლაც ვერ შეეღავებოდი! არაფერიც. 16-ში მივიღე-მეთქი, ხომ ვთქვი: 16 აპრილს გამოსულ გაზეთში (ჟურნალში) შემდეგი დღეების ამბებს ვერ წაიკითხავ!

**3)** რომელ კვირასაც გამოვიდა, იმ კვირის დღეებს ყველას ერთად აწერენ(?!). მივყვეთ **ლოგიკას**-მეთქი, ხაზგასმით ხომ ვთქვი ზემოთ. ამიტომ ეს ვარიანტიც გამოვრიცხოთ.

**4)** რედაქცია მიგვითითებს, როდის უნდა წავიკითხოთ გაზეთი? ზემოთ ორჯერ უკვე და ორჯერვე ხაზგასმით მოხმობილ ლოგიკას (უკვე — მესამეჯერაც!) თავი რომ დავანებოთ, პერიოდიკა სახლში რომ მომივა (ანდა, რომ ვიყიდი) ის უკვე ჩემია, ის ცალი უკვე ჩემი საკუთრებაა და, როცა მინდა, მაშინ წავიკითხავ, რაც უნდა პატივსაცემი რედაქციის კოლექტივი იდგეს მის უკან. ხომ მართალი ვარ?!

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ თავი (ჩემი მეგობარივით) პროფესიონალ მკითხველად მიმაჩნია და ერთი ჩემი საყვარელი გამოცემა გემოვნებიან მკითხველსაც მიწოდებს, ჩემი ლოგიკით მე მაინც ვერაფერს მივხვდი!

ჰოდა, მინდა მივმართო ჩემი გემოვნების მიხედვით გამორჩეული (გამოწერილი!) ყოველკვირეულების რედაქციებს მეთქვენი დიდი პატივისმცემელი და თაყვანისმცემელი ვარ ( აბა, რა მრჯის, საჭმელ-სასმელისა და ტანსაცმლის ფულს რომ ვიკლებ!). იქნებ **კიდევ ერთხელ** (პირველი, კარგ გამოცემებს რომ უშვებთ, ისაა!) გამოიჩინოთ ჩემდამი (მკითხველებისადმი) ყურადღება და ერთ-ერთ თქვენს ნომერში (ან აგერ ჩემი ელექტრონული ფოსტა: g.xiolia@gmail.com) ამიხსნათ, რატომ აწერთ გამოშვების თარიღს ასე უცნაურად?

**ისე, სხვათა შორის, ზემოთ ნახსენები ჩემი მეგობარი რამდენიმე წელი ყოველკვირეული გამოცემების რედაქტორი იყო. გამოცემის თარიღად ერთ ციფრს, გამორჩეული შრიფტით, აწერდა, მაგალითად (ამ შემთხვევაში) „16 აპრილი". იქვე გვერდით (უფრო ჩვეულებრივით), ან ბოლო გვერდზე მიუთითებდა ხოლმე: „შემდეგი ნომერი გამოვა 23 აპრილს".**

**იქნებ, პროვინციაში მცხოვრებთა გამოცდილებაც გამოგვადგეს?!**

**კიდევ სხვათა შორის: ის ჩემი მეგობარი ამბობს, „პროვინციაში მცხოვრები" სხვაა და „პროვინციელი" სხვაო!..**

**გური ხიოლია,**
საქართველოს პროვინციაში მცხოვრები პროფესიონალი მკითხველი და ტელემაყურებელი (ალაგ-ალაგ)

უკომენტაროდ

# „WEEKEND" დასვენება-გართობასაც ნიშნავს...

**საქართველოს ქალაქებში რომ მალე ქართული წარწერები გაქრება და ქართულ ანბანს ინგლისური და ადგილ-ადგილ არაბული დაიჭერს უკვე აშკარაა... ის კი არა, ახლა ქართული გაზეთები და ყოველკვირეულებიც გამოდის უცხოური სახელწოდებებით („Prime time", „Weekend").** მოდაა, ბატონო, ხომ გახსოვთ, ერთი ხანობა გურიაში მხოლოდ არისტოტელეს, სოკრატეს, პლატონს, ადოლფს, ჰიპოკრატესა და ლუდოვიკოს არქმევდნენ... „Weekend" რახან დასვენება-გართობასაც ნიშნავს, აქ დაბეჭდილი მასალებიც, ბუნებრივია, ამ საქმეს ემსახურება. ასეა ამ ყოველკვირეულის მაისის პირველ ნომერშიც. მთელი კვირა იკითხეთ და გაერთეთ, თანაც შიგადაშიგ იცინეთ კიდეც... აბა, წაიკითხეთ ჩვენი კოტეს, ყუბანეიშვილის „სვეტურ პოეზიაში" ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები, თუ მწარედ არ გაგეცინოთ:

**„სანამ პროჭი**
**არ დაგვებზარება,**
**ტრაკის მიცემა**
**არ გვეზარება..."**

ანდა მე-12 გვერდზე დახედეთ **„შემაწუხებელი ჩეხი ფოტოგრაფის"** საუდეკის **„ეროტიკითა და პროვოკაციული ესთეტიკით გაჯერებულ"** ფოტოს, თუ უმალ თქვენი საფიქრალი არ დაგავიწყდეთ და საკუთარი თავიც წამით გაშიშვლებული არ წარმოიდგინოთ... თუმცა ეს ადამიანები სულაც იმიტომ არ გაშიშვლებულან, რომ მშივრები არიან და ისღა დარჩენიათ, სირცხვილი ჭამონ უამრავი მაყურებლის თვალწინ...

ცოტა ხომ გაგეცინათ? ცოტა ხომ შეისვენეთ? ძალიან კარგი, ამ ყოველკვირეულს მეტი დანიშნულება არცა აქვს...

**ნუგზარ დედანაპოვნიშვილი**



მეცნიერება

**მოვისმინე, რომ მალე ტელევიზორები მთლიანად პლასტიკისგან იქნება. როგორ შეიძლება ასეთი რამ?**

**ა. ტოკარჩუკი, სმოლენსკი**

**პროფესორ ვიტუხნოვსკის კაბინეტში კედელზე ჰკიდია პლაკატი აინშტაინის პორტრეტითა და მისი ციტატით ინგლისურ ენაზე: „მინდა ვიცოდე ღმერთის აზრები, ყველა დანარჩენი — მხოლოდ ნაწილობრივ". დიდი ფიზიკოსი ოცნებობდა ჩასწვდომოდა შემოქმედის ჩანაფიქრს, მაგრამ ასი წლის შემდეგაც მეცნიერება დიდად არ მიახლოებია მას. აი ალექსეი ვიტუხნოვსკი უფრო მიწიერ საქმეებზე მუშაობს. მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ლუმინისცენციურ განყოფილებაში ახალი ტიპის ელექტრონიკის შექმნაზე მუშაობენ. მას მოლეკულურს, ორგანულს, ზოგჯერ პლასტიკურს და მოქნილსაც კი უწოდებენ. მოქნილი იგი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით იქნება: არ არის შორი ის დღე, როდესაც კომპიუტერის დისპლეი ან ტელევიზორი შეიძლება გავკეცოთ რამდენჯერმე, როგორც ქაღალდი და ჩავიდოთ ჯიბეში. ან დავახვიოთ რულონივით (გრაგნილივით).**

# რულონი – ტელევიზია

## რუსეთში „მოქნილ ელექტრონიკას" ქმნიან

### დენი პლასტმასში

**მართალია, ზემოხსენებული ინსტიტუტის ლუმინესცენციურ განყოფილებაში პრიორიტეტი ფუნდამენტურ მეცნიერებას ენიჭება, მაგრამ ორგანული ელექტრონიკის შემთხვევაში უნდა ვაღიარო: დროებითი ინტერვალი ლაბორატორიებში გამოკვლევებსა და მათს პრაქტიკულ გამოყენებას შორის მაღაზიების თაროებზე საქონლის სახით ელვისებურად მცირდება.** დასავლეთში კვლევების ამ დარგში უზარმაზარ თანხებს აბანდებენ. ექსპერტების შეფასებით, 2015 წლისთვის ორგანული ელექტრონიკის ბაზარი 35 მილიარდი დოლარის ოდენობას მიაღწევს.



მაგრამ რაზეა საუბარი საერთოდ? დავშალოთ ნებისმიერი ელექტრონული ხელსაწყო — იქნება ის ნოუთბუკი, მობილური ტელეფონი თუ ტელევიზორი — ჩიპებამდე და მიკროსქემებამდე. ისინი სალიციუმის საფუძველზეა შექმნილი. მთელი ინდუსტრია აგებულია სწორედ ამ კლასიკური ნახევარგამტარის გამოყენებაზე. მაგრამ ხომ სწორედ ის ქმნის წარმოებას შრომატევადს, რაც აუცილებლად აისახება საბოლოო პროდუქტის — მოწყობილობის ფასზე, რომელსაც ჩვენ ვყიდულობთ. სალი აზრი გვიკარნახებს: სილიციუმის ნაცვლად უმჯობესია გამოვიყენოთ ორგანული მასალები, რომლებიც ძირითადად შეიცავენ ნახშირბადსა და წყალბადს. არის ორგანული შენაერთების უზარმაზარი ოდენობა, მათი წარმოება ძვირი არ გვიჯდება და, იდეალურად, მიკროსქემები შეიძლება ვბეჭდოთ პრინტერზე, თუ იქ მელნის ნაცვლად ჩავასხამთ ნახშირბადის შემცველი ნივთიერების სათანადო ოდენობას. ორგანული ელექტრონიკის სამუშაოები 30-ზე მეტი წლის წინათ დაიწყო, 2000 წელს კი დაგვირგვინდა ნობელის პრემიით ქიმიის დარგში. ის მიანიჭეს ამერიკელებს ა.ხიტერსა და ა.მაკდიარმიდს და იაპონელ ხ.სირაკავას „პოლიმერებში გამტარობის აღმოჩენისთვის". მარტივად რომ ვთქვათ, პლასტმასში, რომლის მოდიფიცირებაც მოახდინეს მეცნიერებმა.

### სხეულთან შერწყმა

**ფიზიკის ინსტიტუტის ლუმინესცენციის განყოფილებაში აკეთებენ თხელფირიან ტრანზისტორებს ორგანიკისგან. ისინი მოქნილია, მსუბუქი, მათს საფუძველზე შექმნილი დისპლეები იქნება უფრო მკაფიო, გაჯერებული და კონტრასტული. და პლასტიკურიც — მათ შეიძლება მიანიჭო ნებისმიერი ფორმა.**



დისპლეების ევოლუცია: უფრო თხელი, ნათელი, დატვირთული!

„ამჟამად მთელს მსოფლიოში კინესკოპები შეცვალა თხევადკრისტალურმა დისპლეებმა, ეს იყო ტექნოლოგიური რევოლუცია, — გვიამბობს ალექსეი ვიტუხნოვსკი. — ახლა ლამპიანი ტელევიზორები რარიტეტად გვეჩვენება, პრაქტიკულად ნებისმიერი ეკრანი — ეს არის მატრიცა თხევადი კრისტალებისგან. მაგრამ გავა დრო და უკვე ამ ეკრანებს აუცილებლად შეცვლიან ორგანული შუქურა სვეტოდიოდები. სიმარტივე, საიმედოობა და პატარა მოცულობა — ორგანული ელექტრონიკის ღირსებებია. შეიძლება აგრეთვე კიდევ, მაგალითად, ეკრანი გავხადოთ გამჭვირვალე. მიდიხართ მანქანით, ხელს აჭერთ ღილაკს და წინა მინის ნაწილი გადაიქცევა დისპლეიდ. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ხელსაწყო — ტელევიზორი ან ნავიგატორი, რომელიც გზას გიჩვენებს. თქვენს ფანჯრებს მიღმა წვიმა მოდის, ცუდი ამინდია. თქვენ აჩხაკუნებთ პულტს — და მინა „გიჩვენებთ" ნათელ მზიან დღეს, ტყე შრიალებს, ფრინველები გალობენ. ნებისმიერი დისპლეი შეიძლება მოღუნო, როგორც გინდა, ატლასები და საგზაო რუკები გახდება ელექტრონული, დინამიკური. განათებაშიც მოხდება რევოლუცია. „ილიჩის ნათურების" ნაცვლად გაჩნდება ეკრანები (ის შეიძლება გახადო ნებისმიერი ზომის, თუ გინდა სახლის ფასადისხელა), რომლებიც გამოასხივებენ სპექტრის ვიწრო ნაწილში, რაც სასიამოვნო იქნება ადამიანის თვალისთვის.

მედიცინა — გამოყენების კიდევ ერთი დარგია. რახან ეს ორგანიკაა, მაშასადამე, შეესაბამება ბიოლოგიურ ქსოვილებს. ახლა პაციენტის სხეულში ხდება გადამცემებისა და სხვა მოწყობილობათა იმპლანტირება, რასაც ორგანიზმი იშორებს თავიდან. ახალი ელექტრონიკა უფრო „თვინიერი" იქნება და ადამიანის შერწყმა სამედიცინო ხელსაწყოებთან (შემდეგ კი კომპიუტერულ სისტემებთან, რაზეც ფუტუროლოგებს უყვართ საუბარი) მოხდება მსუბუქად და უმტკივნეულოდ.

სპეციალისტები უკვე ვარაუდობენ ეგრეთ წოდებული რულონური ტექნოლოგიების გამოჩენას: ელექტრონული ხელსაწყოები დაიბეჭდება მოქნილი პლასტიკის რულონებზე წუთში 10 მეტრის სისწრაფით. პირველ ხანებში ეს იქნება უფრო მარტივი მასალები — მოქნილი სანათი ელემენტები, ელექტრონული შპალერი, ფილები მზის ბატარეებისთვის (ის შეიძლება გააკრა სახლის კედლებზე და მიიღო ელექტროენერგია). მაგრამ შემდეგ რულონებზე დაიწყებენ ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობის, მათ შორის ყველაზე რთულისაც, ბეჭდვას და მაშინ ახალი დისპლეი კომპიუტერისთვის რულონიდან შეიძლება მოაჭრა... მაკრატლით.

„უკვე 2020 წლიდან ეს ტექნოლოგია ნაკადური გახდება, — მიაჩნია ალექსეი ვიტუხნოვსკის. — ამერიკელები, ფინელები და კორეელები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. აი, რუსეთში კი, სამწუხაროდ, ამაზე არავინ მუშაობს. საერთოდ, ჩვენში ორგანული ელექტრონიკის დარგში სხვადასხვა ქალაქის გათიშული სამეცნიერო ჯგუფები მუშაობენ. ისინიც ძალიან ცოტანი არიან — ჩვენს გარდა კიდევ დაახლოებით ხუთი შეიძლება დაასახელო. ცენტრალიზებული მხარდაჭერა რომ იყოს, რაიმე სახელმწიფო პროგრამა — გაცილებით უკეთესი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ახალგაზრდობას დიდი მისწრაფება აქვს კვლევის ამ დარგისკენ".

მსოფლიოში მწიფდება მორიგი ტექნოლოგიური რევოლუცია. რუსეთსაც — მეტ-ნაკლებად აქვს შანსი გახდეს მისი სრულუფლებიანი მონაწილე და არა მიმავალი მატარებლის კიბეზე ახტომის მსურველი, როგორც ეს მოხდა სალიციუმის ელექტრონიკის წარმოებასთან დაკავშირებით, სადაც ჩვენ ათეული წლებით ჩამოვრჩით.

**დმიტრი პისარენკო**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

კალათბურთი

# აქეთურ-იქითური



**წლევანდელი სეზონის წინ „სოხუმის“ პრეზიდენტმა მინდია გულუამ ჯიბეზე გაიკრა ხელი და ევროტურნირში დებიუტი ერთბაშად ხუთი ამერიკელი ლეგიონერის ჩამოყვანით აღნიშნა.**

გემახსოვრებათ, რომ ასეთმა ნაბიჯმა ზღვისპირელებს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა – მინსკში ევროჩელენჯის საპასუხო შეხვედრამდე ოკეანისგაღმელებს კონფლიქტი მოუვიდათ თანაკლუბელებთან და სკანდალით დატოვეს ლტოლვილთა კლუბი.

და აი, სოხუმელთა შეფები კიდევ ერთხელ შევიდნენ იმავე მდინარეში და სუპერლიგის პლეიოფებისთვის ისევ უცხოელებზე გააკეთეს აქცენტი.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ოსტატობა არც გამთამაშებელ ჯექსონს, მსუბუქ ფორვარდ რიჩმონდსა და ცენტრ მილოშევიჩს დაეწუნებათ – მთავარია, აწი როგორ შეეწყობიან ისინი ახალ პარტნიორებს.

**„სოხუმი“-შსს აკადემია 82:78 (1:0)**

მეოთხედფინალური ეტაპის ცენტრალური წყვილის პირველი მატჩის დებიუტში მოვლენები ისე განვითარდა, უკეთესს ვერც ინატრებდნენ ვაჟა კვარაცხელიას გუნდის ქომაგები – ზემოთ დასახელებული ტრიოსა და ფარღალავას (29 ქულაძ ძალისხმევით ერთ ეპიზოდში მათმა უპირატესობამ 23 (!ძ ქულას მიაღწია.

ეტყობა, ასეთმა სიუჟეტმა ისინი მოადუნა, რაც კინაღამ ძვირად დაუჯდათ – გამოცოცხლებული ბლერის, ტაბსისა და იმნაძის (მან 2 სამქულიანი ჩააგდოძ მცდელობით ბოლო წუთზე ანგარიში გათანაბრდა – 78:78. სწორედ ამ დროს დაუშვა საბედისწერო შეცდომა ძალოვანთა კაპიტანმა ნიკოლაძემ, რომლის მიერ თამაშის წესების დარღვევაც მსაჯებმა არასპორტულ საქციელად შეაფასეს და ფარღალავამაც ზუსტად შესრულებული საჯარიმოებით „სოხუმს“ მძიმე გამარჯვება მოუტანა – 82:78.




**დანარჩენი შედეგები:** „არმია“ – „სამედიცინო“ 100:70, „ოლიმპი“ – „დინამო“ 70:64, „ქუთაისი“ – თსუ 85:55.

**დღეს 12 საათიდან თბილისის სპორტის სასახლეში სერიის მეორე მატჩები გაიმართება.**

* * *

**რიო დე-ჟანეიროში მოეწყო ლონდონის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის ფინალური რაუნდის კენჭისყრა, რომელმაც გუნდები ასე გადაანაწილა.**

**ვაჟები**

**„ა“ ჯგუფი.** არგენტინა, საფრანგეთი, ტუნისი, აშშ, საკვალიფიკაციო ტურნირის ორი გამარჯვებული.

**„ბ“ ჯგუფი.** ავსტრალია, ბრაზილია, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საკვალიფიკაციო ტურნირის მესამე გამარჯვებული.

საკვალიფიკაციო ეტაპი 2-8 ივლისს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გაიმართება და მასპინძლებთან ერთად ოლიმპიადის სამი საგზურისთვის ანგოლა, დომინიკის რესპუბლიკა, მაკედონია, საბერძნეთი, იორდანია, კორეა, ლიტვა, ახალი ზელანდია, ნიგერია, პუერტო-რიკო და რუსეთი იბრძოლებენ.

**ქალები**

**„ა“ ჯგუფი.** ანგოლა, ჩინეთი, აშშ, საკვალიფიკაციო ტურნირის სამი გამარჯვებული.

**„ბ“ ჯგუფი.** ავსტრალია, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საკვალიფიკაციო ტურნირის ორი გამარჯვებული.

დავძენთ, რომ საკვალიფიკაციო ბატალიები 25 ივნისიდან 1 ივლისამდე თურქეთის დედაქალაქ ანკარაშია დანიშნული და იქ ოსმალებთან ერთად არგენტინა, კანადა, ხორვატეთი, ჩეხეთი, საფრანგეთი, იაპონია, კორეა, მალი, მოზამბიკი, ახალი ზელანდია და პუერტო-რიკო ითამაშებენ.

* * *

**გაირკვა „ვითიბი ბანკის“ პატრონატით დაფუძნებული ერთიანი ბალტიური ლიგის პირველი გამარჯვებულის ვინაობა. ესაა მოსკოვის არმიელთა კლუბი.**

**გაუწყებთ ვილნიუსში გამართული ფინალური ეტაპის შეხვედრათა შედეგებს.**

**ნახევარფინალი:** „უნიქსი“ – „ყუბანი“ 87:86, ცსკა – „ლიეტუვას რიტასი“ **79:7**2.

**მატჩი III ადგილისთვის.** „ლიეტუვას რიტასი“ – „ყუბანი“ 91:83.

**ფინალი.** ცსკა – „უნიქსი“ 74:62.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ დასკვნით ეტაპზე თამაშის უფლება ერთბაშად სამმა რუსულმა გუნდმა მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ევროპული საკლუბო სეზონი 11-13 მაისს სტამბოლში დანიშნული ევროლიგის ოთხთა ფინალით დაგვირგვინდება, სადაც ნახევარფინალში ერთმანეთს ცსკა – „პანათინაიკოსი“ და „ბარსელონა“ – „ოლიმპიაკოსი“ შეხვდებიან.

* * *

**გუშინ გამთენიისას ოკეანის გაღმა გაიმართა ნბა-ს მერვედფინალური პლეი-ოფების მესამე მატჩები, რომლებიც ასე დასრულდა: „დალასი“ – „ოკლაჰომა“ 79:95 (0:3), „ნიუიორკი“ – „მაიამი“ 70:87 (0:3).**

**გიორგი შოთაძე**



მძლეოსნობა

# ლიცენზია „სპორტის დედოფალმაც“ შეგვმატა

**მაია გოგოლაძე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია სიგრძეზე ხტომასა და თარჯრბენში. ბოლო დროს ედუარდ ლომთაძის ხელმძღვანელობით უფრო ხტომებს მიეძალა და წარმატებითაც. ჯერ კი** მძლეოსანი სოფიაში 667 სანტიმეტრზე გადახტა – საქართველოს რეკორდი დაამყარა და, რაც მთავარია, ჩვენს ოლიმპიურ დელეგაციას ლონდონის ოლიმპიადის საგზური მოუტანა.



**დევ თებერვალში ბელარუსის ზამთრის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა საკმაოდ მოკრძალებული შედეგით – 576 სანტიმეტრით. ერთი თვეც არ იყო გასული, რომ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატზე 612 სანტიმეტრით ჩემპიონობა მოიპოვა.** ოღონდ ამას ბრესტში ერთთვიანი საწვრთნელი შეკრება უძღოდა. თბილისში გამართული შეჯიბრების შემდეგ ორი კვირა ბაქოში ემზადებოდა სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელსაც ბულგარეთმა უმასპინძლა. ქართველი

ქართველი მძლეოსნები ამ მონაგარზე გაჩერებას არ აპირებენ: 5-6 მაისს ლაშა ღულელაური, თათია პაიკიძე და ბაჩანა ხორავა ალმათიში (ყაზახეთიძ სალიცენზეო ტურნირზე გამოვლენ. მოგვიანებით ამგვარ ტურნირში ჩაებმებიან დავით ილარიანი, ბოლესლავ სხირტლაძე და ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე მარიამ ქევხიშვილი, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და ამჟამად ამერიკაში ვარჯიშობს.

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი

# ტაიმაუტი ეკვატორზე



**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მონაწილენი გუშინ ისვენებდნენ, დღეს კი მე-7 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან სალომე მელია – ნაზი პაიკიძე, ინგა ხურცილავა – მადონა ბოკუჩავა, ინგა ჭარხალაშვილი – სოფიო გვეტაძე, სოფიო გურამიშვილი – მერი არაბიძე, სოფიო ხუხაშვილი – ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი – მაია ლომინეიშვილი.** ექვსი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: არაბიძე – 4,5, ხოტენაშვილი – 4, პაიკიძე, ბოკუჩავა, ბაციაშვილი – 3,5-3,5, გვეტაძე, ხუხაშვილი – 3-3, გურამიშვილი, ლომინეიშვილი – 2,5-2,5, ჭარხალაშვილი, მელია, ხურცილავა – 2-2 ქულა. საგულისხმოა, რომ მე-6 ტურმა სიურპრიზები შემოგვთავაზა. ფიდეს ოსტატმა მადონა ბოკუჩავამ ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა – ამჯერად საქართველოს ექსჩემპიონ სალომე მელიას გააჩერებინა საათი. ბელა ხოტენაშვილის წინსვლა ნაზი პაიკიძემ შეაჩერა, გურამიშვილმა კი ბაციაშვილი დაამარცხა.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტური დარჩა.

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# 130 ქულას დასჯერდა

**უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში დასასრულს მიუახლოვდა ჩოგბურთელ ქალთა 220-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით ითამაშა 22 წლის ქართველმა ანა ტატიშვილმა (რეიტინგში 81-ე).** ჩვენებურმა პირველ წრეში ბულგარელ ცვეტანა პირონკოვას აჯობა, შემდეგ უნგრელ ვანდა ლუკაჩს სძლია, მეოთხედფინალში მსოფლიო რეიტინგით 57-ე საფეხურზე მდგარი ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადაძ ჩამოიშორა გზიდან. პირველი სეტი ოკეანისგაღმელმა დაძაბულ პაექრობაში 7:5 მოიგო. უფრო დრამატული გამოდგა მეორე ხელი – აქ ქართველმა იყოჩაღა – 7:6, მესამეში ტატიშვილის უპირატესობა გამოიკვეთა და მან 6:4 გაიმარჯვა კიდეც. ამ წარმატებამ ჩვენებურს სარეიტინგო 130 ქულა მოუტანა და იმ ზღვარს მიუახლოვდა, საიდანაც ლონდონის ოლიმპიადის კონტურები ჩანს. თუმცა საგზურამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი.

გუშინ ნახევარფინალში ტატიშვილს უფრო მრისხანე მეტოქე ჰყავდა – რეიტინგით 27-ე ადგილზე მყოფი იტალიელი სარა ერანი. ქართველმა ჩოგბურთელმა ორთაბრძოლა იოლად დათმო – 2:6, 1:6.

**ლექსო ცინცაძე**



## წკიპურტები

**როცა სახელისუფლებო ორგანოები და ნაცმოძრაობასთან ასოცირებული ოლიგარქების ბიზნესი ყველანაირად ძარცვავს და არჩევანს არ უტოვებს მოსახლეობას, ამ ადამიანებმაც უნდა შეძლონ რაიმეს დაპირისპირება მათთვის. მაგალითად, ცუდი არ იქნებოდა წამოგვეწყო ბოიკოტირების კამპანია ლოზუნგით „მე აღარ ვუყურებ „რუსთავი-2“, „იმედს“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს, არ ვსვამ „ნატახტარსა“ და „ზედაზენს“ (ნატახტარი-თურქებისაა უკვე და ზედაზენი-ჩვენი ძარცვით გამდიდრებული ჩოჩელების და მათ უკან მდგომი დიდი ჩინოვნიკების). ოპოზიციონერებმა და ხალხმაც „ყაზბეგი“ დავლიოთ — უფრო ხარისხიანიცაა, ქართულ საქმეს ხმარდება და მის უკან ნაღდი პატრიოტები დგანან.**

# როდემდე უნდა ისარგებლო ჩვენი მოთმინებით, კატილინა?!

### კახპა დედამთილს რძალი არ გაუზოზდება

**უკვე 4 თვეზე მეტია ქართველ ნაციონალთა ლიდერები და მათი დამქაში ტელევიზიები წამდაუწუმ იმეორებენ ინფორმაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ ყალბდება არჩევნები რუსეთში როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო დონეზე.** არჩევნების გაყალბების ქართველმა დიდოსტატებმა, ცხადია, კარგად იციან ის ძველი და ახალი ტექნოლოგიები, რომლის მეშვეობით ისინი წლებია, რაც აყალბებენ არჩევნებს. რუსეთში არჩევნები მართლაც გაყალბდა, თუმცა არა იმ დოზით, როგორც ეს ხდება საქართველოში. ამიტომ, როცა სხვის თვალში ბეწვს ხედავ და საკუთარში — დირესაც ვერა, ეს ახლომხედველობასთან ერთად უზნეობაზე და სიცრუეზე მეტყველებს.

### არ განმეორდეს 1999 წლის საარჩევნო ისტორიები

**გახსოვთ, ალბათ, 1999 წლის არჩევნების წინ როგორ დაიძაბა სიტუაცია საქართველოში: ერთმანეთს „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ დაუპირისპირდნენ ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ (სადაც მნიშვნელოვან როლს ჟვანია და სააკაშვილი ასრულებდნენ) და ასლან აბაშიძის „აღორძინება“. დაპირისპირება იყო საკმაოდ მწვავე და ხანდახან კუთხურ ხასიათსაც კი იღებდა.** შევარდნაძე ქართველ ხალხს აფრთხილებდა,რომ „მოდის შავბნელი ძალა“, რომელიც საქართველოს საბჭოთა წარსულისაკენ დააბრუნებს და ხელს შეუწყობს სეპარატიზმის და კუთხურობის გაღრმავებას ქვეყანაშიო. შევარდნაძეს არც აბაშიძე ჩამორჩებოდა მწვავე გამოსვლებით. ორივე ძალამ შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათ გარდა სხვა აღარავინ გაიდოდა პარლამენტში (არადა, „მრეწველებს“ მაშინ კარგი გუნდი ჰყავდათ, ერთ ბლოკში იყვნენ ელდ და რესპუბლიკელები — მესამე გზაძ.

გაყალბებული არჩევნების შემდეგ კი „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“ ისე დაუტკბა ერთმანეთს, ისე გადაინაწილეს თანამდებობები, რომ ძველი დაპირისპირება მირაჟივით გაქრა და ვარდების რევოლუციამდე ორივე ძალა ერთად იყო.

ვშიშობ, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ იგივე არ განმეორდეს საქართველოში — ნაციონალები და „ქართული ოცნების“ კოალიციის ზოგიერთი წევრი არ ჩაეხუტონ ერთმანეთს. ივანიშვილმა ეს არანაირად არ უნდა დაუშვას.

### რას უდრის ერთმანეთზე მიბმული წყალი + ნაგავი?

**ქართულ მოსახლეობას ძალზე მძიმე ტვირთად აწევს (პოლიტიკოსებივით) წყლისა და ნაგვის გადასახადის ერთმანეთზე მიბმა, იგი ნამდვილი სატანჯველია ოჯახებისთვის. მოგეხსენებათ, მარტში დარიგდა 20-ლარიანი დენის ვაუჩერები, მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? ამას ჩემი ოჯახის მაგალითზე მოგახსენებთ: ყველამ იცის, რომ ახალწლებზე ადამიანები უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ.** ჩემს ოჯახს იანვარში მოუვიდა 31 ლარის გადასახადი ელექტროენერგიაზე, თებერვალში, როცა დღე იმატებს, მოგვივიდა უკვე 46 ლარის გადასახადი (ანუ 15 ლარით მეტიძ, მარტში კი — 36 ლარი (5 ლარით მეტიძ — არადა ერთნაირად ვხმარობდით ელექტროენერგიას, გასათბობად გაზს ვიყენებდით. აპრილის დასაწყისში კვლავ 30 ლარი მოგვივიდა, ანუ დაუბრუნდა — საახალწლო მაჩვენებელს. სინამდვილეში, თებერვალ-მარტში ჩვენ 20 ლარით მეტი გადაგვახდევინეს, ანუ ის 20-ლარიანი ვაუჩერი მთავრობამ კი არ გვაჩუქა, ჩვენივე ფულითაა გადახდილი და ეს ყველაფერი ხელისუფლებამ სათავისოდ მიიწერა. ამიტომ, ფორმულა ასეთი გამოვიდა: წყალი + ნაგავი (ერთმანეთზე მიბმულიძ = სააკაშვილი + უგულავას.

### ამათ არც ცოცხლები ანაღვლებთ, არც — მკვდრები

**ხალხის კულტურის დონე იმითაც განისაზღვრება, თუ როგორ უვლის იგი სასაფლაოებს და სასმელ წყაროებს.**

**ბზობის წინა დღეს და აღდგომას მუხათგვერდის სასაფლაოზე ავდივარ ხოლმე სიდედრ-სიმამრისთვის პატივის მისაგებად, ხოლო მეორე დღეს ხაშურში მივდივარ მშობლების საფლავზე.**

20 წელზე მეტია მუხათგვერდის სასაფლაო ნელ-ნელა პარტახდება და ინგრევა. ხალხი მანქანით უმრავლეს ადგილას ვეღარ ახერხებს ახლობლების საფლავებამდე მისვლას. გზა ფაქტობრივად აღარ არსებობს „გმირების მემორიალის“ ზემოთ. არადა, წვიმაში და ცუდ ამინდში ხალხი წამების ფასად ახერხებს საფლავებამდე მისვლას და იქ წითელი კვერცხის გადაგორებას. მერია სასაფლაოს დირექტორების მოხსნის გარდა არაფერს აკეთებს. გზებზე ხრამებია გაჩენილი და მანქანებს აზიანებს.

მართალია, მიცვალებულები არჩევნებში ხმას არ აძლევენ (თუმცა ნაციონალთა სიებში ხვდებიან გასაყალბებლადძ, მაგრამ მუხათგვერდში დაკრძალულ 200 ათასზე მეტ მიცვალებულს ჭირისუფლები ჰყავთ და ისინი ხმას ნამდვილად არ მისცემენ ხელისუფლებას.

### პუტინი და ვეფხვზე დადგმული სპექტაკლი

**ამას წინათ რუსმა დამოუკიდებელმა ჟურნალისტებმა გამოიძიეს და გამოაქვეყნეს მასალა, სადაც პრეზიდენტი პუტინი წინასწარ სპექტაკლის დადგმაში ამხილეს, როცა მან თითქოს, შემთხვევით, ნადირობისას, შეძლო გზად შემხვედრი ვეფხვის განეიტრალება.** თურმე ის ვეფხვი უსურიიდან ჩამოუყვანიათ წინასწარ და წამლით დაუძინებიათ, მერე კი მონტაჟის მეშვეობით კამერამ ყველაფერი ნამდვილს მიამსგავსა (ეს სიუჟეტი მაშინვე მოგვახარეს „ჩვენმა“ სამთავრობო არხებმაძ. ნათქვამია, ყვავმა ყვავს დასცინაო. ასეთი სპექტაკლების დადგმაში, არა მგონია ვინმე შეედრებოდეს ჩვენს მთავარ ხელისუფალსა და მამა-მარჩენალს.

### საკუთარი შვილი ყველა კაცმა თვითონ უნდა შვას

**2004 წელს ვარდების ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს უშიშროების აკადემია. ამის შემდეგ სისტემაში კადრების დეფიციტი დაიწყო — ლაპარაკია პროფესიონალ კადრებზე და არა ქუჩიდან ნაცნობობით და ერთგულების ნიშნით მოყვანილ ხალხზე.** თურმე ჩვენ უშიშროების მუშაკებს ამერიკელები და სხვა ჩვენი მეგობრები მოგვიმზადებენ. არადა, კანონია: საკუთარი უშიშროება და აგენტურა ყველა ქვეყანამ თავად უნდა შექმნას და გამოზარდოს, როგორც კაცმა — საკუთარი შვილი. როცა ეს გააცნობიერეს, მერე დაიწყეს რაღაც კურსების ორგანიზება მოდულის შენობაში, თუმცა სად — რამდენიმეთვიანი კურსები და სად — აკადემიის დამთავრება! თავის დროზე ასევე გააუქმეს თავდაცვის აკადემიაც, მაგრამ მიხვდნენ შეცდომას და კვლავ აღადგინეს. ასევე უნდა აღდგეს უშიშროების აკადემიაც. უცხო ქვეყანაში მომზადებული აგენტები და მუშაკები საქართველოს არ გამოადგება.

### იახტკლუბი ერევანში

**როგორც მითხრეს, თურმე ერევანში საკმაოდ სოლიდური იახტკლუბი ყოფილა. იკითხავთ ალბათ, სად ერევანი და სად საზღვაო იახტკლუბიო?** სომხები წინ იყურებიან, როგორც ჩანს: თადარიგს იჭერენ, როცა მათ ზღვაზე გასასვლელი (ცხადია, აქ კასპიის ზღვა არ იგულისხმება — შავ ზღვაზეა ლაპარაკი, თუმცა ვინ იცის...ძ ექნებათ, იახტკლუბი აქტიურ ფუნქციონირებას დაიწყებს, მანამდე კი ჯერ აუზში წყალი არ უსხიათ.

### 1200 კალორიით მეტი

**იაპონიაში, ოკინავაზე, არის ამერიკული დიდი სამხედრო ბაზა. დასვენების დღეებში ამერიკელი ჯარისკაცები დროსტარებას არ იკლებენ და სიმთვრალეში ხშირად დანაშაულსაც სჩადიან, მათ შორის, ხანდახან — მკვლელობებს. ასეთი შემთხვევის დროს დამნაშავე ამერიკელ ჯარისკაცს იაპონიის სამართალდამცველებს არ გადასცემენ და აშშ-ში ასამართლებენ.** თუ მოხდა სასწაული და დამნაშავე ამერიკელი ჯარისკაცი იაპონურ ციხეში აღმოჩნდება (ეს ათასში ერთხელ ხდებაძ, ამერიკელ პატიმარს სპეციალური სახელშეკრულებო მუხლით უნდა აძლიონ 1200 კალორიით მეტი საკვები, ვიდრე იაპონელ პატიმარს (წარმოიდგინეთ რა მოხდება ჩვენთან — შეიძლება ასეთ დამნაშავე ამერიკელს ქალებიც მიართვან ცალკე კამერაშიძ. ამერიკელი ყველგან ამერიკელი უნდა იყოს!

**ვაჟა შუბითიძე**

## განცხადება

ა/წლის 24 მაისს გაიმართება ს/ს თ. ცეცხლაძის სახელობის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის საანგარიშო კრება, იურიდიული მისამართი: ვ/ფშაველას გამზირი №47.

დღის წესრიგი:

1. 2011 წლის წლიური ანგარიში;
2. ს/ს სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.
3. სხვადასხვა.

ს/ს თ. ცეცხლაძის სახელობის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის დირექცია

## ხსოვნა

# მერი ჯალაღანია



წავიდა ჩვენგან მხცოვანი მხატვარი, საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ღირსების ორდენის კავალერი, გამოყენებითი ხელოვნების მხატვართა ბრწყინვალე წარმომადგენელი, პროფესორი **მერი ჯალაღანია**.

ქალბატონი მერი დაიბადა 1926 წელს ქალაქ ბათუმში. 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი და აქტიურად ჩაება ჩვენი ქვეყნის მხატვრულ ცხოვრებაში.

აკადემიის დამთავრებისთანავე იგი ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საზღვარგარეთის სამხატვრო გამოფენებში: — საქართველოს ხელოვნების დეკადისადმი და შოთა რუსთაველის 800 წლისადმი მიძღვნილ გამოფენებში ქ. მოსკოვში, საქართველოს გამოყენებითი ხელოვნების — ალჟირში, კანადაში, ჩეხეთში, იუგოსლავიაში, იტალიაში, საფრანგეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში; საქართველოს დღეებისადმი მიძღვნილ გამოფენებში გერმანიაში.

ქალბატონი მერი ჯალაღანიას ნამუშევრები დაცულია მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ხალხთა, თურქეთისა და კუსკოვოს, ბათუმის, თბილისისა და მირზაანის მუზეუმებში.

ქალბატონი მერი მონაწილეობდა ლიტვის კერამიკის საერთაშორისო სიმპოზიუმში, გერმანიის ფესტივალ-კონკურსში. მისი ნამუშევრები ყოველთვის იპყრობდნენ ყურადღებას, მიღებული აქვთ არაერთი ჯილდო.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად მხატვარი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში — იყო კერამიკა-მინის კათედრის პროფესორი.

ღვაწლმოსილი მხატვრის, პედაგოგის, მეგობრისა და კოლეგის სახელი დიდხანს დარჩება ჩვენი საზოგადოების ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის გამგეობა

---

**მეუღლე ზაირა, შვილი დავითი, რძლები მაია, რუსიკო, შვილიშვილები საშა, თათია ჩიკვაიძეები, დეიდაშვილი ლალია, სიძე მაიკლ სეივორი, დეიდაშვილის შვილი ნინა კობიაშვილი ოჯახით, ბიძაშვილი ლიდა, ბიძაშვილის შვილები მარინა, ირინა ოჯახით, რძალი ციალა გეგეშიძე, ბიძაშვილის შვილი კუსა ჩიკვაიძე, თენგიზ მდივანი, კოკა ქოჩორაძე, ზურაბ მარგველაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ალექსანდრე ჩიკვაიძე**

**პანაშვიდი 6, 7 V, 17 სთ. დაკრძალვა 8 V, 14 სთ. მისამართი: ბარნოვის ქუჩა, 69.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტად დიდი მეოცესაუკუნელი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სანიმუშო მოქალაქე და მამულიშვილი**

**ალექსანდრე ჩიკვაიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის დამწუხრებულ ოჯახს.**

---

**გია პლატონიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 66 წლისა გარდაეცვალა უახლოესი ნათესავი, სახელმწიფო საგზაო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკური ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი**

**ელიზბარ ივანეს ძე ჯავახიშვილი**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის საახლობლოს.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ფიზიოლოგი, ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი**

**თეიმურაზ ნათიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## ინფორმაცია

### იტალიაში 33 ქართველი დააკავეს

**იტალიაში ქურდობის ბრალდებით სამართალდამცველებმა 33 ქართველი დააკავეს. ქართული ტელეკომპანიების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა სპეცოპერაციის შედეგად 5 კილოგრამი ოქრო და ძვირფასი ნივთები ამოიღეს. როგორც იტალიელი სამართალდამცველები აცხადებენ, დანაშაულებრივი ჯგუფი საცხოვრებელ სახლებში შეღწევას ისე ახერხებდა, რომ საკეტები არ ზიანდებოდა.**

**33 ქართველთან ერთად, დაკავებულია ასევე იტალიის 5 მოქალაქეც, რომლებიც ქურდობაში ქართველებთან ერთად იყვნენ ჩართულნი.**

ინტერპრესნიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ნატიფად, მოდაზე ჩაცმული მამაკაცი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ფრანტი. 3. მსხვილი ნაწლავის ზედა განყოფილება. 5. მტაცებელი ცხოველი, რომელიც ადვილად შინაურდება და იყენებენ ნადირობის დროს. 7. რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა. 10. ორგანული ნაერთის გარდაქმნა მაღალ ტემპერატურაზე. 12. ნივთიერება, რომელიც მიისწრაფვის გავრცელდეს და თანაბრად მოიცვას ჭურჭელი. 13. სხვადასხვა სქესის გამეტების დიფორმიზმი სიდიდის მიხედვით. 14. თვითმფრინავის ნაწილი, რომლითაც იგი მოძრაობს აფრენის ან დაჯდომის დროს. 17. ქიმიური ელემენტი ტუტე-მიწა მეტალი. 18. ცილოვანი ნივთიერება, რომელიც გროვდება ღვიძლში ზოგიერთი პროცესის დროს. 22. რომში პირველ საუკუნეში აშენებული ცირკი – ამფითეატრი. 23. ურიცხვი, უთვალავი. 28. ფენოტიპური მსგავსება პირველი თაობის შთამომავლობაში. 30. ქალაქი სამაჩაბლოში. 31. ყვითელი პრიალა ყვავილებიანი ბალახი. 32. დროსთან დაკავშირებული შექცევადი დიფერენცირება. 38. გასაშრობად და შესანახად გრძლად დაწნული ზოგიერთი ბოსტნეული. 37. სახელმწიფოების შეთანხმება, კავშირი საერთო მიზნის მისაღწევად. 38. სახელწოდება, რომელიც მნიშვნელობით ემთხვევა სხვა სახელწოდებას. 39. ეკოლოგიურ პირობებთან შეგუებული ფორმა, რომელიც წარმოქმნილია სელექციის შედეგად. 40. ბიძგი, შინაგანი მისწრაფება, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას. 41. მაღალი, კარგი ღირსების მაგარმერქნიანი ხე, აქვს ფრთიანი ნაყოფი.

**შვეულად:** 1. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა მცირე დასი. 2. მდინარე საქართველოში. 3. უჯრედების ფენა, რომლებიც ხელს უწყობს მცენარის ზრდას სისქეში. 4. ქიმიური ელემენტი, ძნელლღობადი მეტალი. 5. ტროპიკული მრავალწლოვანი მცენარე, რომლის ფოთლების წვენს იყენებენ მედიცინაში. 6. ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში. 8. ჩილელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. 9. დაუსაბუთებლად ბრმად მიღებული დებულება. 11. სახელმწიფო ევროპაში. 15. ძაღლმცოდნეობა. 16. ცილების შემცველი ერთერთი ამონმჟავა. 17. რძის ცილა. 19. ახლომონათესავე ინდივიდთა შეჯვარება. 20. მაღალი პირამიდის ან კონუსის ფორმის სვეტი შენობის თავზე. 21. ლექსთაწყობაში ორმარცვლიანი მუხლი, რომლის მეორე მარცვალი მახვილიანია. 24. მდინარე მაგადანის ოლქში. 25. ტვინის ქვედა დანამატი. 26. სოფელი ახალციხის რაიონში. 27. მიჯნა, სამიჯნო ნიშანი ძველ საქართველოში. 29. მრავალწლიანი, საგველაყვავილებიანი ბალახი, სამკურნალო მცენარე. 31. მსხვილად ნაქსოვი შალის ან ბამბის ქსოვილი. 34. გერმანელი მწერალი (1900-1979წ. 35. საგაზაფხულო ხორბლის ჯიში. 36. იგივეა, რაც გეჯა.

შეადგინა
**ზინა ლოზჟანიძემ**

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### 29 ათასმა ადამიანმა, შესაძლოა, არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღოს

ამის მიზეზი კი ისაა, რომ ისინი თავიანთი რეგისტრაციის ადგილას არ ცხოვრობენ და მანძილის სიშორის გამო ვერ შეძლებენ საჭირო დროს საარჩევნო უბნებზე გამოცხადებას.

დიდია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, მაგრამ ოფიციალურად რაიონებში არიან რეგისტრირებულები.

რეგიონებში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ხმა თბილისში მისცენ, სამოქალაქო რეესტრში ახალი პირადობის მოწმობის აღება მოუწევთ.

„რეზონანსი“.

### ლელა წურწუმიამ მაჟორიტარობაზე უარი თქვა

გუშინ მთელი თბილისი ლელა წურწუმიას პოლიტიკურ მომავალზე საუბრობდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი მაჟორიტარობაზე იყრის კენჭს. ეს ინფორმაცია ლელა წურწუმიამ კატეგორიულად უარყო. იგი ამბობს, რომ მისი საქმე ხელოვნებაა.

„ახალი თაობა“.

### ჩემ მეუღლეს მისმა უფროსმა აგრძნობინა, არ მინდა შენი გაშვება, მაგრამ ისინი „მაწვებიანო“

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეს-სპიკერის მაია ფანჯიკიძის მეუღლე, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი პაატა თუშურაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

„ვერსია“.

## განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## ანეკდოტები

– **მიხო**, ამ საღამოს რას აკეთებ?
– ბავშვს.

* * *

**გურული** ავიდა ავტობუსში.
– უკან გადაიწიეთ, –ამბობს მძღოლი.
გურულმა ორი ნაბიჯით გადაიწია.
– გადაიწიეთ უკან! – ცოტა ხანში ისევ აყვირდა მძღოლი.
გურულმა ისევ წადგა რამდენიმე ნაბიჯი.
მესამეჯერაც რომ მოითხოვა მძღოლმა გადაწევა, ახლა გურული აყვირდა:
– ძამა, ფეხით სიარული რო მდომოდა, ამ ავტობუსში კი არ ამოვიდოდი!

* * *

**გურულ** გამომძიებელთან ეჭვმიტანილი შეჰყავთ:
– აგერ, ბატონო, აგი და თქვენ მიხედეთ.
– რა დააშავა?
– ზოოპარკში შეიპარა და ლომს აუპატიურებდა.
– მერე ამასთან მტიებთ მარტოს?!!!!

* * *



**ლანჩხუთში** გურულ ბაღნებს ასწავლიან მათემატიკაში ათეულებს და ოცეულებს.
– ბავშვებო, ათის მერე ოცია, ოცის შემდეგ – 30, 30-ის შემდეგ – 40. ვანიკო, აბა, მითხარი – 40-ის შემდეგ რაია? – ეკითხება მასწავლებელი.
– წლისთავი, მასწ! – სიამაყით წამოიძახა ვანიკომ.

* * *

– **ის** კაცი ხომ შენი ნათესავია?
– კი, მაგრამ, შორეული.
– მაინც როგორი?
– 12 და-ძმა ვიყავით, მე პირველი დავიბადე, მაგი – ბოლო.

* * *

**გურულმა** ტყუპები დაინახა და მშობელს გაკვირვებული ეკითხება:
– აგია იგი, თუ იგია აგი?

* * *

**ქელეხია** გურიაში. მიასვენებენ მიცვალებულს. ერთი მეზობლის ქალი მიყვება და მოთქმით აბარებს:
–კოწია, ბიჯოოოო, ქმარი დამესიზმრა წუხელის, ტრაქტორზე მოტორი დასტუკვია და „ვალი“ და „პორშინები“ მთხოვა. ჩაგიწყვე კუბოში და თუ ძმა ხარ, გადაეციიი... „ცეპლენიაც“ უნდა შევცვალო და დისკიც გამომიგზავნეოოო... მაგიც მაქ გიდევს და არ დაგავიწყდეეეს!

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24